პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი № 156 (11462) | ოთხშაბათი, 8 ივლისი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

# საბჭოთა პრესის მაღალი მოწოდება

„პრავდის“ 7 ივლისის მოწინავე.

კომუნიზმის მილიონობით მშენებელთა გულში მხურვალე გამოხმაურება გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებამ, ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიმართვამ მუშებისადმი, კოლმეურნეებისადმი, საბჭოთა ინტელიგენციისადმი, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელისადმი, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვამ პლენუმზე. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა შეიმუშავა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ტექნიკური პროგრესის ხაზით პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის, დასახა აგრეთვე ზომები ქიმიური და საფეიქრო მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

საბჭოთა კავშირის მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ და მხარს უჭერენ ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ღონისძიებებს, რომლებიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა. ქარხნებსა და ფაბრიკებში, შახტებში და მშენებლობებზე ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, გაჩაღებულია მუშაობა წარმოების ყველა უბანზე მოწინავე ტექნიკის, ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ფართოდ დანერგვისათვის.

ტექნიკური პროგრესის დაჩქარების იმ ყოვლისმხრივი პროგრამის წარმატებით განხორციელებაში, რომელიც პარტიამ შეიმუშავა, პასუხსაგები როლი ეკუთვნის ჩვენს პრესას. ჩვენ, აღნიშნავს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, კარგად უნდა მოვაწყოთ მუშაობა პლენუმის გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტებისა და შესრულებისათვის.

მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და თვითმოქმედების უმაგალითო აღმავლობამ, რომელიც გამოწვეულია სკკპ XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით საბჭოთა საზოგადოების ყველა ფენაში, ფართო გამოხატულება ჰპოვა პრესაში, კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა მის შინაარსზე. ახლა მთელმა პრესამ უფრო მეტი ძალით უნდა დარაზმოს მასები კომუნისტური მშენებლობის იმ ძირეული საკითხების გადაჭრისათვის, რომლებიც პარტიამ დასახა, დიდი უნარით უნდა გამოდიოდეს როგორც კოლექტიური პროპაგანდისტი და აგიტატორი, მასების კოლექტიური ორგანიზატორი.

პრესის უპირველესი ამოცანაა თვითეულ მშრომელს განუმარტოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებები და მასალები. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია: „კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საყოველთაო-სახალხო საქმეა და დიდ ორგანიზატორულ მუშაობას მოითხოვს ყველა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციისაგან.

საჭიროა ღრმად განვუმარტოთ მშრომელებს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტექნიკურ პროგრესს კომუნისტურ მშენებლობაში, გავშალოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების პროპაგანდა, ამისათვის ფართოდ გამოვიყენოთ პრესა, კინო, რადიო და ტელევიზია. მეცნიერულ-ტექნიკური პროპაგანდა უნდა ემსახურებოდეს თვითეულ მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს აიმაღლოს ცოდნა და საქმიანი კვალიფიკაცია, ხელს უნდა უწყობდეს ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას“.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაწვრილებით შეიმუშავა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ტექნიკური პროგრესის განხორციელების პროგრამა, განსაზღვრა თავის გადაწყვეტილებებში პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების ამოცანები. ახლა საქმე ის არის, რომ სწორად მოვაწყოთ მუშაობა და განვახორციელოთ მიღებული გადაწყვეტილებანი.

პლენუმის გადაწყვეტილებებმა, მიმართვის მგზნებარე სიტყვებმა ცოცხალი გამოხმაურება ჰპოვეს მილიონობით საბჭოთა ადამიანის გულში. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდის ცნობები შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების ახალი აღმავლობის შესახებ. პრესა მოწოდებულია კონკრეტულად და მიზანსწრაფულად გააშუქოს ამ შეჯიბრების მსვლელობა, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საკითხები, მხარი დაუჭიროს და მტკიცედ იბრძოლოს წარმოებაში ყოველივე პროგრესულის, მოწინავის დანერგვისათვის, მტკიცედ იბრძოლოს უძრაობის, ახალი ტექნიკისა და ნოვატორთა გამოცდილებისადმი უგულებელყოფითი დამოკიდებულების წინააღმდეგ, დაუცხრომლად განმარტავდეს, რომ ახლის გრძნობა, მუდმივი ზრუნვა შრომის ნაყოფიერებისათვის, წარმოების კულტურის ამაღლებისათვის თვითეული კომუნისტის, თვითეული საბჭოთა ადამიანის განუყრელი თვისება უნდა იყოს. გაზეთების ყოველდღიური მოვალეობაა მხარი დაუჭირონ ეკონომიური რაიონების, საწარმოთა კოლექტივების, კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების, წარმოების ნოვატორების ძვირფას თაოსნობას, რომლის მიზანია ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, წარმოებისა და შრომის მაღალი ორგანიზაცია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმისათვის მზადების პერიოდში სტალინოს ოლქის გაზეთებმა პარტიული ორგანიზაციების მხარდაჭერით შახტებში, ქარხნებში, მშენებლობებზე მოაწყეს მასობრივი რეიდი წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საკითხებზე. რეიდში მონაწილეობდა 20 ათასამდე მუშა კორესპონდენტი, წარმოების მოწინავე, სპეციალისტი. რეიდის მონაწილეებმა არა მარტო გამოავლინეს ესა თუ ის ნაკლოვანებანი, არამედ ადგილზე უწყობდნენ ხელს მათ აღმოფხვრას, პატრონებივით იჩენდნენ დაინტერესებას ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფით.

უპასუხებენ რა ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ხარკოვის ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ მუშა კორესპონდენტებმა ამ დღეებში მოუწოდეს რესპუბლიკის ყველა მუშა კორესპონდენტს მოაწყონ მასობრივი რეიდი — ახალი ტექნიკის შექმნის, დანერგვისა და გამოყენების შემოწმება.

უკრაინის პრესა, სულ უფრო ფართოდ იზიდავს რა მუშა კორესპონდენტებს, წარმოების ნოვატორებს, აჩაღებს შვიდწლედის დიდებული ამოცანების პროპაგანდას, ოპერატიულად, ქმედითად იბრძვის სკკპ XXI ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. კომუნისტური შრომის დამკვრელებს, შვიდწლედის მოწინავეებს ფართო ტრიბუნას აძლევენ „მოსკოვსკაია პრავდა“, „ლენინგრადსკაია პრავდა“, „სოციალისტიჩესკი დონბასი“ და ბევრი სხვა გაზეთი. საჭიროა, რომ მთელი ჩვენი პრესაც კონკრეტულად, საქმიანად გვიჩვენებდეს საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაქანებას ყოველი კოლექტივის მიერ შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის, უფრო მკაფიოდ აშუქებდეს მოწინავე საწარმოებში ახალი ტექნიკის დანერგვის გამოცდილებას, შვიდწლედის ნოვატორთა კეთილშობილურ შრომას, რომლებიც მუშაობაში გვიჩვენებენ მაღალი შეგნებულობისა და კომუნისტური შრომისმოყვარეობის ნიმუშებს. გაზეთები და ჟურნალები მოწოდებული არიან მკვეთრად, შეურიგებლად ებრძოდნენ კონსერვატიზმის, ტექნიკური ჩამორჩენილობის მოვლენებს, გადაჭრით იბრძოდნენ ხელგაშლილობის, მოდუნებულობისა და უდისციპლინობის წინააღმდეგ, მომჭირნეობისათვის, მეურნეობის ეკონომიური, გონივრული გაძღოლისათვის. ჩვენი პრესის ფურცლებზე სულ უფრო ხშირად იბეჭდება კონკრეტული, საქმიანი გამოსვლები წარმოების ეკონომიკისა და ტექნოლოგიის საკითხებზე, საუბრები ნოვატორთა წამოწყებებზე, მათ გამოცდილებაზე, იბეჭდება სტატიები სსრ კავშირში ტექნიკური პროგრესის მთავარ გზებზე, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ღონისძიებათა ეკონომიურ და სოციალურ მნიშვნელობაზე. მაგრამ სწორი არ იქნებოდა მრავალ დადებით მაგალითს იქით, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი პრესის სახეს, არ დაგვენახა ნაკლოვანებანი, რომელნიც სჩვევია ზოგიერთ გაზეთს. ტექნიკური პროგრესის ძირეული საკითხების გაშუქება ჟურნალისტებისაგან მოითხოვს ეკონომიკის, ტექნიკის უფრო ღრმად ცოდნას, აგრეთვე თავიანთი პროფესიული ოსტატობის, ორგანიზატორული მუშაობის ჩვევების სრულყოფას. ჩვენში კი ზოგჯერ საუბარს ტექნიკურ-ეკონომიურ თემებზე ცვლიან ზერელე ინფორმაციული შენიშვნებით. ზოგიერთი გაზეთი გვერდს უვლის წარმოების მწვავე პრობლემებს.

ამგვარ ნაკლოვანებათა დასაძლევად თვითეული გაზეთის რედაქცია უნდა ეყრდნობოდეს ავტორთა ფართო აქტივს, წარმოების ნოვატორთა, მეცნიერთა, ინჟინერთა, კონსტრუქტორთა, სამეურნეო მუშაკთა, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკთა გამოცდილებასა და ცოდნას. მეტად დიდმნიშვნელოვანია პერიოდულ პრესაში უფრო აქტიური მონაწილეობისათვის მოვიზიდოთ მწერლები, ეკონომისტები, ფილოსოფოსები, რათა უფრო შინაარსიანი და გულში ჩამწვდომი ხდებოდეს ჩვენი პუბლიცისტიკა, რომ იგი უპასუხებდეს ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს.

საბჭოთა პრესის შემოქმედების ძალა კოლოსალურია. იგი მოუწოდებს ახალი ცხოვრების მილიონობით მშენებელს იარონ წინ, რაზმავს მათ მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით. ჩვენი პრესა თავის მიმზიდველ ძალას იძენს ჩვენი პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის მეოხებით; საბჭოთა პრესა ყოველთვის და ყველაფერში ხელმძღვანელობს პარტიულობის ლენინური პრინციპებით.

მაშ დაე შვიდწლედის შემოქმედთა გმირული შრომა, მათი ძვირფასი გამოცდილება სულ უფრო ღრმა და ნიჭიერ გაშუქებას ჰპოვებდეს ჩვენი პრესის ფურცლებზე. დაე ბეჭდვითი სიტყვა აღვიძებდეს მილიონობით მკითხველის შემოქმედებითს აზრს, მოუწოდებდეს მათ ახალი შრომითი გმირობისაკენ კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

# კოსმოსის დაპყრობა გრძელდება

## საკდესის ცნობა

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში მთელი რიგი წლების მანძილზე მიმდინარეობს ატმოსფეროს ზედა ფენების სისტემატური გამოკვლევა ერთსაფეხურიანი ბალისტიკური რაკეტების დახმარებით სხვადასხვა სიმაღლეზე.

წინათ განხორციელებულ გაშვებათა მსვლელობაში მიღებულია მეტად ძვირფასი მეცნიერული მასალები, რომლებმაც ახლებურად გააშუქეს ატმოსფეროს ზედა ფენების მდგომარეობა და ამ ფენებში მიმდინარე პროცესები, რის შესახებ ცნობები წინათ იყო გამოქვეყნებული პრესაში.




1959 წლის 2 ივლისს 6 საათსა და 40 წუთზე მოსკოვის დროით მოხდა საშუალო სიშორის ერთსაფეხურიანი ნ ი გეოფიზიკური ბალისტიკური რაკეტის მორიგი გაშვება, ატმოსფეროს ზედა ფენების კვლევის სამეცნიერო სამუშაოთა გეგმის შესაბამისად.

რაკეტა აღჭურვილი იყო მზის სპექტრის ულტრაიისფერი ნაწილის, იონოსფეროს სტრუქტურის, მიკრომეტეორების [illegible] აპარატურით. [illegible] ორი ძაღლი (ოტვაჟნაია და სნეჟინკა) და ერთი ბაჭია. ძაღლი ოტვაჟნაია უკვე მესამედ ავიდა რაკეტით.

რაკეტაზე მოთავსებული სამეცნიერო აპარატურისა და ცხოველების საერთო წონა 2 ათას კილოგრამს აღემატება.

გაშვებამ ნორმალურად ჩაიარა. გადარჩენის სისტემამ უზრუნველყო რაკეტას მოცილებული ნაკვეთურისა და სამეცნიერო აპარატურის და საცდელი ცხოველების კონტეინერის მიწაზე დაშვება.

წინასწარი მონაცემებით გამოკვლევის პროგრამა შესრულებულია და მიღებულია ძვირფასი მასალები ყველა საკითხზე.

პირველად არის მიღებული ცნობები ატმოსფეროს მსუბუქი გაზების შემადგენლობის შესახებ.

ცხოველთა მდგომარეობა მიწაზე დაშვების შემდეგ კარგია. ერთი და იგივე ცხოველების მრავალგზის მაღლა აყვანამ შესაძლებელი გახადა მიგვეღო მონაცემები რაკეტებით ფრენასთან ცხოველთა შეგუების უნარის შესახებ. მიღებულია ახალი მონაცემები უწონობის პირობებში ცხოველთა ქცევის შესახებ.

წარმოებს მიღებული მასალების დამუშავება და შესწავლა.

# მთელი ჩვენი ძალები დიად კომუნისტურ მშენებლობას

## შეჯიბრებაში ებმებიან ახალი საწარმოები, კოლექტივები

★

### ახალი წელი — აგვისტოში

მიათურა. (საკ. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი ახალი შრომითი გამარჯვებისათვის აღაფრთოვანებენ ჭიათურელ მაღაროელებს. კალინინის სახელობის მაღაროს ცნობილმა ამწმენდმა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა შ. აბრამიშვილმა კიროველ ჩარხმშენებელთა მიმართვის პასუხად იკისრა წლიური გეგმა 1 აგვისტოსათვის შეასრულოს.

გადიდებული ვალდებულებები იკისრა მაღაროს კოლექტივმა. ახლა აქ თავდადებით შრომობენ იმისათვის, რომ 15 დეკემბრისათვის გაანაღდონ წლიური დავალება და ერთი წლით ადრე მიაღწიონ პროდუქციის გამოშვების იმ დონეს, რომელიც შვიდწლიანი გეგმით არის გათვალისწინებული, წელს დაზოგონ 300 ათასი მანეთი, ხოლო შვიდწლედში რესპუბლიკურ ფონდში შეიტანონ 2 მილიონ მანეთზე მეტი.

★

### მთავარი წინაა

რუსთავი. (საკ. კორ.). ლაბორატორიიდან ცნობა მიიღეს მილნამზადების ხარისხის შესახებ. მილსაგლინავი საამქროს ბრიგადირმა დ. ძაგანიამ კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებს განუცხადა:

— ეს მაჩვენებელი შემთხვევითი არ არის, იგი მიღწეულია ტექნიკური პროგრესის შედეგად, რაც ჩვენ ამ ბოლო დროს განვახორციელეთ. მაგრამ წინ უფრო დიდი ამოცანებია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება გვავალებს მოვახდინოთ მთელი ჩვენი ძალების მობილიზაცია საწარმოო პროცესების შემდგომი კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის. ეს არის პირდაპირი გზა შვიდწლიანი გეგმის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ავიღოთ თუნდაც ჩვენი დგანი „400“, მასზე წინა და უკანა მაგიდების მექანიზმების ავტომატურმა მართვამ, რაც ამ ბოლო დროს განხორციელდა, დიდი ეკონომიური ეფექტი გამოიღო. გარდა იმისა, რომ დაჩქარდა გლინვის პროცესი, ფიზიკური შრომისაგან განთავისუფლდა რვა ოპერატორი.

ჩვენს ქარხანაში შემუშავებულია საწარმოო პროცესების შემდგომი მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ღონისძიებები, რომელთა განხორციელების შედეგად საწარმო მნიშვნელოვნად გაზრდის პროდუქციის გამოშვებას.

თვითეული ჩვენგანის ვალია აქტიური მონაწილეობა მიიღოს ივნისის პლენუმის დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლაში. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივის ინიციატივა. კიროველებს საქმით უნდა დავუჭიროთ მხარი.

კიროველების გადაწყვეტილებას ფართოდ გამოეხმაურნენ და ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს მეტალურგებმა მ. კიკვაძემ, გ. ბერეკაშვილმა, ი. იანჩუკმა და სხვებმა.

★

### გულში ჩამწვდომი

უმაგალითო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებები, მიმართვის მგზნებარე სიტყვები ღრმად სწვდება გულში მშრომელებს.

— პლენუმმა რწმენა გამოთქვა, რომ საბჭოთა ადამიანები თავდადებით იბრძოლებენ ტექნიკური პროგრესისათვის — განაცხადა კამვოლური წარმოების უფროსმა მ. ბაბუნაშვილმა. — ჩვენს კომბინატში ეს ბრძოლა უკვე დაიწყო. მოსამზადებელ განყოფილებაში შენაზავის დამზადება პრიმიტიულად წარმოებდა. ახლა შექმნილია ნახევრადმექანიზებული მოწყობილობა, საგამომყვანო საამქროში დავდგით სატრუსავი მანქანა, რომლის საშუალებითაც შეიძლება ადრე მოგვეფხვრა ბუსუსებიანი ქსოვილის გამოშვება, მექანიზებულია მატყლის გარეცხვა და ხარშვა, დაიდგა მაღალი წარმადობის სართავი და საქსოვი მანქანები.

კომბინატის კოლექტივი დიდი მოწონებით შეხვდა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მშრომელების ინიციატივას პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. ფეიქრებმა აიღეს გაზრდილი ვალდებულებანი. საწარმო წელს 15 ასორტიმენტის შალის ქსოვილს გამოუშვებს.

— არ შეიძლება აუღელვებლად გაეცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებს, — ამბობს მოწინავე მრთველი ა. წიკლაური, — გაოცებთ ჩვენი შენების, ჩვენი წინსვლის სიდიადე. და ყველაფერს ამას მშობლიური კომუნისტური პარტია აკეთებს ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, მისი მატერიალური და სულიერი სიმდიდრის გამრავლებისათვის. პირობას ვდებ ყოველთვიური საწარმოო დავალება ორმაგად შევასრულო.

# 140.000 ტონა ჩაისათვის!






## იცნობდეთ, მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩაის კრეფაში

ოჩამჩირე. ცუცა მალანძია მუშაობს სოფელ აკვასკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. მან მოკრიფა 70 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 25 კილოგრამისა. ზოია თორიამ და ალა მასხარაშვილმა დღიური დავალება სამმაგად გაანაღდეს.

სოხუმი. ლუბა ბელელაძემ სოფელ ესტონკის კოლმეურნეობაში ყველას გაუსწრო ჩაის კრეფაში. მან მოკრიფა 65 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, დღიურ ნორმას 40 კილოგრამით გადაამეტა.

ქობულეთი. ეთერ ნიჟარაძე მოწინავე მკრეფავია სოფელ ალამბრის კოლმეურნეობაში. მან მოკრიფა 70 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და დღიური დავალება 270 პროცენტით გაანაღდა.

## შეჯიბრებაში ჩაის რაიონები

6 ივლისი

მახარაძე. რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოკრიფეს 143 ტონა ჩაის ფოთოლი. სულ სეზონის დაწყებიდან — 15.094 ტონა. შარშანდელთან შედარებით მოკრეფილია 2.221 ტონით მეტი ჩაი.

ქობულეთი. რაიონის მეჩაიეებმა მოკრიფეს 130,5 ტონა ჩაის ნედლეული. სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 9.411,7 ტონა.

ზუგდიდი. რაიონში მოკრიფეს 200 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, სულ სეზონის დაწყებიდან 9.518 ტონა, რაც შარშანდელზე 1.722 ტონით მეტია.

გალი. გალელმა მეჩაიეებმა მოკრიფეს 147 ტონა ჩაის ფოთოლი, სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 6.785 ტონა, ანუ შარშანდელზე 1.316 ტონით მეტი.

## ნახევარ ჰექტარზე 10 ტონა ჩაისათვის

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ გალმა დვაბზუს კოლმეურნეობის წევრები სანაქებოდ უვლიან ჩაის პლანტაციებს, შედეგიც კარგი აქვთ. ჩაის ნედლეულის დამზადების მაის-ივნისის დავალება 20 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს. გეგმით გათვალისწინებული 203 ტონის ნაცვლად წარმოებას ჩააბარეს 206 ტონა ჩაის ფოთოლი.

— ბევრი სახელგანთქმული მეჩაიეა ჩვენს არტელში, — ამბობს გალმა დვაბზუს კოლმეურნეობის თავმჯდომარე აგრონომი გრიგოლ თავამაიშვილი. მაგრამ პირველობას არავის უთმობს მეჩაიე მარგალიტა მახარაძე, რომელმაც გეგმით გათვალისწინებული 4.200 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარა 5.600 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

წარჩინებული მკრეფავი მარგალიტა მახარაძე ახლა იმისათვის იბრძვის, რომ 0.5 ჰექტარზე ამ სეზონში სულ ცოტა 10 ტონა ნედლეული მოკრიფოს.

# ამხანაგი ხო ში მინი კიევს ჩავიდა

კიევი, 6 ივლისი. (საკდესი). დღეს უკრაინის დედაქალაქში ჩამოვიდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხანაგი ხო ში მინი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება დასასვენებლად.

კიევის აეროდრომზე ამხანაგ ხო ში მინს შეხვდნენ უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ვ. ი. ნაიდეკი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ს. გრეჩუხა და სხვები.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ ამხანაგმა ხო ში მინმა იმოგზაურა ქალაქში, გაეცნო კიევის ღირსშესანიშნაობებს, ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს, დაათვალიერა უკრაინის სსრ სახალხო მეურნეობის მოწინავე გამოცდილების რესპუბლიკური გამოფენა.

# ეთიოპიის იმპერატორის მოგზაურობა საბჭოთა კავშირში

იალტა, 7 ივლისი. (საკდესი). გუშინ დღის მეორე ნახევარში იმპერატორმა ჰაილე სელასიე I და მისმა თანმხლებმა პირებმა ინახულეს პიონერთა ბანაკი „არტეკი“.

სტუმრებმა გაიცნეს ბანაკის ცხოვრება. ახლა აქ იმყოფება 1500-ზე მეტი ბავშვი. საბჭოთა ბავშვებთან ერთად დროს ატარებენ მათი ტოლები პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, უნგრეთიდან, საფრანგეთიდან, ფინეთიდან, ბელგიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

ეთიოპიის იმპერატორი თანმხლები პირებით დაესწრო კონცერტს, რომელიც არტეკელებმა მოაწყეს ვრცელ მოედანზე, სადაც ტრადიციით იწყობა დიდი პიონერული კოცონები.

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნ. ი. ბადრიაშვილის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით და ქართული კულტურის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაჯილდოვდეს თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ყოფილი დირექტორი — ნიკოლოზ იასეს-ძე ბადრიაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი
1959 წლის 6 ივლისი.



ზუგდიდის რაიონის ზედა ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში სახელი გაითქვეს დებმა განო, თალიკო და ინეზა ბიგვავებმა. თვითეული მათგანი ჩაის კრეფის დავალებას 250-400 პროცენტით ასრულებს. სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ — განო, თალიკო და ინეზა ბიგვავები ჩაის ფოთლის კრეფის დროს.
ფოტო ნ. მალაღურაძისა.

# მომავლის მზვერავები

„ახალი ამოცანები კარგად ესმით მომავლის მზვერავებს — კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების სახელოვანი მოძრაობის მონაწილეებს. ეს ბრიგადები ენერგიულად იბრძვიან იმისათვის, რომ თავიანთ უბანზე, თავიანთ მინდორში გამოიყენონ ყველაზე სრულყოფილი ტექნიკა და ტექნოლოგია, ისინი გადაჭრით ილაშქრებენ უძრაობის, კონსერვატიზმის, ჩამორჩენილობის წინააღმდეგ“.

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიმართვიდან).

ეს ხალხი იმ ასაკის ახლაც არ არის, რომ ვინმემ იფიქროს ჭკუას ჩახვდნენ და დადინჯდნენო. ყველაზე უფროსი ოცდახუთი წლისაა, ყველაზე უმცროსი — ცხრამეტისა. მოხდენილი ბიჭები არიან, ნათელი შუბლით, მართალი გულით და მაგარი მკლავით.

გულხელდაკრეფილნი არც უწინ იყვნენ, მაგრამ ახლა მაინც საათის კარგი მექანიზმივით აეწყო საქმე. თითქოს გარეგნულადაც შეიცვალნენ: მუდამ წვერგაპარსული, კოხტად დავარცხნილი, გემოვნებით ჩაცმული დადიან. სამუშაო ადგილზე ხომ ისეთი წესრიგი და სისუფთავე აქვთ, გული გაგინათლდებათ.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში ზუსტად ვერავინ გეტყვით, როდიდან დაიწყო ეს ცვლილებები ნოდარ ნიკოლაძის კომუნისტური შრომის ბრიგადაში. ამ ცვლილებებს ამჩნევდნენ თანდათანობით იმ დღეებში, როცა მექანიკური საამქროს ახალგაზრდა ხარატები, მღარავები, ჩამტეხები კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელის მოპოვებისათვის იბრძოდნენ. იბრძოდნენ, და ლელოც გაიტანეს.

ერთია მოიპოვო, მეორეა მოპოვებული შეინარჩუნო და განამტკიცო. ახალგაზრდული ცეცხლითა და გატაცებით უტევენ საქმეს, კლდესავით მტკიცე მკერდით მიარღვევენ სიძნელეებს და მიდიან წინ, წინ. ხალხი და პარტია მათ მომავლის მზვერავებს უწოდებენ, და ისინიც ცდილობენ იყონ ჩვენი ბედნიერი მომავლის სასახელო მზვერავები. ისინი არიან, რომ ამსხვრევენ ძველ ტექნიკურ ნორმებს, თავიდან იშორებენ ყველაფერს დრომოჭმულსა და ხავსმოკიდებულს და მომავლიდან დღევანდელობაში მოაქვთ ახალი და ახალი...

ამ ახალს, მომავლის მზვერავებმა რომ აღმოაჩინეს, როგორც თაფლს ბუზები, ისე ეტანებიან კომუნიზმის ჯარისკაცები და... კორესპონდენტებიც, რომ იგი დღეს სახალხო კუთვნილებად იქცეს, რომ უფრო მძლავრი და მიზანსწრაფული იყოს ჩვენი შეტევა კომუნიზმის ზღუდეებზე.

## მათ ხელში ლითონიც მღერის

ქარხნის შესასვლელში კი მოხუცი დარაჯი ჩვეულებრივ ბუზღუნებს: — უცნაური ხალხი ხართ ეს კორესპონდენტები. დღეში ათჯერ მოირბენთ ქარხანაში, ახალი რა არისო. გაგონილა, შე კაცო, ყოველდღე ახალი და საინტერესო რა უნდა იყოს.

— მომავლის მზვერავებს ყოველთვის ექნებათ ახალი და საინტერესო.

— რომელ მზვერავებზე მეუბნები, შენ ფრონტი ხომ არ გგონია აქ...

— ფრონტია, აბა რა არის!..

დარაჯი კეფას იფხანს.

მოხუცი დღეში ათჯერ მაინც შეავლებს თვალს დაფაზე ნოდარ ნიკოლაძის კომუნისტური შრომის ბრიგადის მაჩვენებელს: „250“ წერია ცარცით, ლ. მარგიშვილის გვარის გასწვრივ — „300“. ა. მარგველაშვილის გვარის გასწვრივ „400“. ამ მშრალ ციფრებს ასევე მშრალად კითხულობს მოხუცი დარაჯი და ასკვნის:

— ჩანს, ბიჭები კარგად მუშაობენ. არც მეტი, არც ნაკლები.

მაგრამ თუ გსურს ეს ციფრები აამეტყველო, მათი საიდუმლო ამოიცნო, საამქროებში, ჩარხებთან უნდა მიხვიდე, სადაც შემოქმედებითი შრომა ჩქეფს და დუღს.

ნოდარ ნიკოლაძის მთელი ყურადღება დასამუშავებელი დეტალისაკენ არის მიპყრობილი. კიდევ ერთხელ გაიარა საჭრისმა. ნოდარმა ჩარხი გამორთო, სამაგრები აუშვა და ორთქლმავლის გაპრიალებული მრუდმხარა გვერდზე გადადო.

— ეს მერამდენეა? —ჰკითხა საამქროს ტექნოლოგმა ა. მანევიჩმა.

— მეათე,— მოკლედ მოჭრა ბრიგადირმა.

— პირდაპირ განსაცვიფრებელია.

— აკი მხარს არ მიჭერდით, მაგ საქმიდან არაფერი გამოვაო. გამოდის?

ორთქლმავალს მრუდმხარებს უწინ ხარანდავ ჩარხზე ამუშავებდნენ. ეს დიდ შრომას მოითხოვდა. და აი ნოდარს დაებადა აზრი — სიახლე შეეტანა მრუდმხარების დამზადების ტექნოლოგიურ რეჟიმში.

— მაგ დეტალებს ჩემს სალარავ ჩარხზე ისე დავამზადებთ, რომ ნაკლს ვერ უპოვნით.

ძლივს დათანხმდნენ. შედეგით კი გაოცებული დარჩნენ. ახლა ნოდარი ცვლაში თხუთმეტ მრუდმხარას ამზადებს.

საამქროში ნოდარის ბიძაშვილი ოთარი შემოვიდა.

— რა ქენი, ჩააბარე? — მისცვივდნენ ბიჭები.

— ჩავაბარე.

— მოიტა მატრიკული.

ნოდარმა ხელი შეიწმინდა, მატრიკული გამოართვა.

— ოჰო, — გაეხარდა ბრიგადირს, „ფრიადებსა“ და „კარგებს“ რომ შეავლო თვალი, — ყოჩაღ!...

— ხომ გახსოვთ, ბიჭებო, რა ვიკისრეთ: შვიდწლედში ყველანი უმაღლესი განათლებით უნდა ვიყოთ.

— მერე არ ვსწავლობთ თუ?

— სწავლაც არის და სწავლაც. სამიანებზე რომ გაათრიო თავი, ვერაფერი ვაჟკაცობაა... ჰოდა, კარგად უნდა ვისწავლოთ.

ბრიგადირი ჩარხისაკენ მიტრიალდა, მოტორი გამორთული იყო, მაგრამ ჩარხი მაინც მუშაობდა.

— რეზო, — მიმართა მან ხარატ რ. სიხარულიძეს, — ამ ჩარხს რაღაც უნდა მოვუხერხოთ, ხომ ხედავ, რამდენი ხანია გამორთულია, ტყუილუბრალოდ ცვდება. დღეში ხომ ხუთჯერ მაინც გვიხდება ჩარხის გაჩერება, წარმოიდგინე რამდენ დროს ვკარგავთ უნაყოფოდ, რამდენად ცვდება ჩარხი. აი მუხრუჭები რომ მოვაწყოთ..

— სწორი აზრია, ოღონდ ყველაფერი ჩვენ თვითონ სწრაფად უნდა გავაკეთოთ, — აი ისე. როგორც ეს ედუარდმა გააკეთა. ურჩია ამხანაგებს ვიქტორ ქურდღელიმ.

ჩამტეხ ჩარხზე, რომელზეც ედუარდ მურადიანი მუშაობს, უწინ ერთი საჭრისი იყო დამაგრებული. დეტალის მეორე მხრიდან ჩასატეხად საჭირო იყო მისი შემობრუნება, საჭრისის ხელახლა მომარჯვება. კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებმა გადაწყვიტეს ჩარხზე ორმხრივ ჩამტეხი საჭრისი მოეწყოთ.

ბევრს ეს საეჭვოდ მოეჩვენა, ზოგიც წინააღმდეგი იყო.

— ახალგაზრდებს ჯიქურ გინდათ ყველაფერი გააკეთოთ, ზოგჯერ უფროსებსაც დაგვიჯერეთ, —ურჩევდა მათ გ. ბანეთიშვილი, — ოცდახუთი წელია ვმუშაობ და ვიცი, რომ ასეთ დატვირთვას ჩარხი ვერ გაუძლებს, გატყდება.

ბიჭებმა თავისი გაიტანეს. ჩარხი არ დამსხვრეულა, დაიმსხვრა ძველი ტექნიკური ნორმები, ორჯერ და მეტად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

ასე ეძებენ წარმოების რეზერვებს, ასე მიიწევენ წინ მომავლის მზვერავები. მათ ხელში ლითონიც სუნთქავს, ლითონიც მღერის ჩვენი დღეების სიდიადეზე.

ა. ხუჭუა.

* * *



**სურათზე:** თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები (მარცხნიდან) ტარიელ ჭუბაბრია, რევაზ სიხარულიძე, ნოდარ ნიკოლაძე (ბრიგადის ხელმძღვანელი), ედუარდ გევორქიანი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

# ახალგაზრდული გატაცებით

ჩვენი ქარხნის კოლექტივი წარმატებით იბრძვის ნაკისრი ვალდებულების — თვითეული მუშის მიერ შვიდწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. კოლექტივის ამ წარმატებაში წვლილი შეაქვს ჩვენს ზუსტ შემადგენლობათა ბრიგადას, რომელიც ახალგაზრდებისაგან არის დაკომპლექტებული. სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბრიგადის ათივე წევრი დავალებებს ასრულებს არა 5 პროცენტის, როგორც ნაკისრი გვქონდა, არამედ 25-30 პროცენტის გადაჭარბებით.

საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბრიგადის ბრძოლას შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის. ამის ერთ-ერთი საშუალებაა ნედლეულისა და დამხმარე მასალების ეკონომიურად ხარჯვა. ბრიგადის მუშაობის პირველ ხანებში ელექტროშედუღებისათვის საჭირო ვერცხლის ფხვნილის დიდი დანაკარგები გვქონდა. მტკიცედ გადავწყვიტეთ გამოგვენახა საშუალება, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა ეკონომიურად დაგვეხარჯა ეს ძვირფასი მასალა. გავაკეთეთ ლითონის სპეციალური ჯამი, რომელზეც ვაწარმოებთ ელექტროავტომატის დეტალების შედუღებას. ამით თავიდან ავიცილეთ ვერცხლის ფხვნილის დანაკარგები.

შვიდწლედის დიადი გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში პირველი წარმატებები, რა თქმა უნდა, ზღვრული არ არის. გადაწყვეტილი გვაქვს წლის დავალების გადამეტებით გამოვუშვათ 250 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო შვიდწლედის მანძილზე—1,5 მილიონი მანეთისა. ეს იქნება ჩვენი ახალგაზრდული ბრიგადის წვლილი კომუნიზმის გაშლილ მშენებლობაში.

ზ. შავშიშვილი,

თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ ზუსტ შემდუღებელთა ბრიგადის ხელმძღვანელი.

# საკვალიფიკაციო თანრიგი ატესტატთან ერთად

თბილისის 89-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელებმა წარმატებით ჩააბარეს უკანასკნელი გამოცდა. უკან დარჩა ათი ბედნიერი წელი, მხიარული ბავშვობა, მშობლიური სკოლა. კურსდამთავრებულნი რამდენიმე დღეში მიიღებენ სიმწიფის ატესტატებს და თამამად გავლენ ცხოვრების ფართო გზაზე. ამ სითამამეს მათ ისიც ანიჭებს, რომ საშუალო განათლებასთან ერთად სკოლაში ყოფნისას ისინი დაეუფლნენ სპეციალობას. თბილისის პირველ მექანიკურ ქარხანაში ჩამოყალიბდა საწარმოო სწავლების კლასები. აქ მოსწავლეები გამოცდილი ინჟინრებისა და ოსტატების ხელმძღვანელობით ეუფლებოდნენ ხარატის, მღარავისა და ზეინკლის სპეციალობებს. საწარმოო კლასების კურსდამთავრებულნი სიმწიფის ატესტატთან ერთად მიიღებენ მოწმობას სპეციალობისა და კვალიფიკაციის შესახებ.

მოსწავლეები გულმოდგინედ ემზადებოდნენ გამოცდებისათვის. და აი გამოცდის დღეც დადგა. 23 ივნისს მეათეკლასელები წარდგნენ საგამოცდო კომისიის წინაშე, რომლის შემადგენლობაში არიან ქარხნის მთავარი ინჟინერი ქ. რაფაელოვი, სკოლის დირექტორი მ. მაღლაკელიძე, ოსტატები მ. გრიგორიანი და გ. შახნაზარიანი, 26 კომისრის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ს. ხოშტარია და სკოლის პარტბიუროს მდივანი ც. დათიკაშვილი. შემოწმებას უნდა გამოევლინებინა მოსწავლეთა ცოდნა სპეციალური საგნის ძირითად თეორიულ საკითხებში და პრაქტიკაში მისი გამოყენების უნარი.

საწარმოო სწავლების ხელმძღვანელი, საზეინკლო - საამწყობო საამქროს უფროსი ინჟინერი მ. ვაჰარიანი მაგიდაზე აწყობს საგამოცდო ბილეთებს. შემოდიან მოსწავლეები. მათ ხელში უჭირავთ სამუშაო იარაღები—ქლიბები, ბურღები, საზომი ხელსაწყოები. ინჟინერი მომავალ სპეციალისტებს ურიგებს ნახაზებს, რომელთა მიხედვით მოსწავლეებმა განსაზღვრულ დროში უნდა დაამზადონ მოცემული დეტალები. დამზადებულ დეტალებს განიხილავს საგამოცდო კომისია და თეორიული ცოდნის, დეტალის შესრულებაზე დახარჯული დროისა და სიზუსტის მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელ თანრიგს იმსახურებს ესა თუ ის მოსწავლე.

კარგი თეორიული და პრაქტიკული მომზადება გამოამჟღავნეს მოსწავლეებმა ლარისა ასაევამ, ციალა მიკირტუმოვამ, ნათელა ყურაშვილმა, როზა მარქაროვამ, გალინა აბელაშვილმა, ედუარდ გოგელიამ, იზოლდა ბალავაძემ და სხვებმა. კომისიის გადაწყვეტილებით მათ მიენიჭათ ზეინკლის მეოთხე და მეხუთე თანრიგი.

გ. ირემაძე.

# „ტექნიკური გვერდი“ გაზეთში

პრესის ფურცლებიდან

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთი „ლენინელი“ რეგულარულად ბეჭდავს მასალებს საწარმოს ტექნიკური პროგრესის, ავტომობილის ცალკეული კვანძებისა და დეტალების დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საკითხებზე.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გაზეთის „ტექნიკური გვერდები“, რომლებშიც წარმოდგენილია ქარხნის სპეციალისტთა, წარმოების ნოვატორთა წერილები სათანადო სქემებითა და ნახაზებით. ამ წერილებში თვალსაჩინოდ და გასაგებად არის მოთხრობილი ქარხანაში უკვე დანერგილ ან ახლო მომავალში განსახორციელებელ ტექნიკურ სიახლეებზე.

გაზეთის ერთ-ერთი ნომრის „ტექნიკური გვერდი“ იხსნება სამჭედლო საამქროს ტექნიკური ბიუროს უფროსის ო. ვაჩიბერიძის წერილით. მასში ლაპარაკია იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც სამჭედლო საამქროს კოლექტივი ახორციელებს ლითონის ეკონომიისათვის. წერილის ავტორი მიუთითებს, რომ ლითონის ჭრის რაციონალური მეთოდები, დეტალების ზუსტი დატვიფრვა, ლითონის ნარჩენების გამოყენება, ნაჭედის ფორმის მაქსიმალური მიახლოება მზა ნაწარმის ფორმასთან და სხვა პროგრესული მეთოდები, რასაც საამქროში ნაჭედის დამზადებისას იყენებენ, ხელს უწყობს როგორც ლითონის, ისე სათბობის, ელექტროენერგიისა და ტვიფრების ეკონომიას, ამცირებს ნაჭედის მექანიკური დამუშავების შრომატევადობას.

მეტად საყურადღებო საკითხს —ავტომანქანის დეტალების დამზადებისათვის პლასტმასების გამოყენებას — ეხება თავის წერილში ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსის მოადგილე ქ. ჯაოშვილი.

როგორც იგი წერს, თანამედროვე მანქანათმშენებლობაში, კერძოდ, ავტომობილმშენებლობაში, სულ უფრო ფართოდ იყენებენ პლასტმასებს. მანქანის დეტალების პლასტმასებით დამზადებისას მცირდება ავტომობილის საერთო წონა, უმჯობესდება მისი დინამიკური და ეკონომიური თვისებები. ამასთან, პლასტმასას აქვს მაღალი საიზოლაციო და კოროზიის საწინააღმდეგო თვისებები, გამოირჩევა ხახუნის კოეფიციენტის ფართო დიაპაზონითა და გაცვეთისადმი მაღალი წინააღმდეგობით.

პლასტმასების გამოყენებისათვის ქარხანაში უკვე გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯები:

**„ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის კოლექტივმა უკვე დაამზადა პლასტმასისაგან ავტომობილის დეტალები: წყლის ტუმბოს ფრთოვანა (ფენოლიტი კ-17-36) და საჭის სამართავის სპეციალური დეტალი (კაპრონის ნარჩენები), რომლებიც ახლა საექსპლოატაციო და ლაბორატორიულ გამოცდას გადიან.**

პლასტმასის დეტალების დანერგვა მკვეთრად აამაღლებს წარმოების კულტურას, ბევრად შეამცირებს ოპერაციათა რაოდენობას, გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას“ — წერს დასასრულ ავტორი.

„დანერგილია ტვიფრი-ავტომატი“, ამ სათაურით გვერდში გამოქვეყნებულია ცივი ტვიფრების საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსის ნ. მანჯგალაძის წერილი. როგორც იგი წერს, დღემდე ცილინდრების ბლოკის სახურავის სამაგრი სარშიების სპეციალური დეტალი (№ 120 — 1003039) მზადდებოდა პროგრესულ ტვიფრზე, სადაც ლენტის მიწოდება ხელით ხდებოდა. ამ დღეებში აქ დაამზადეს და წარმოებაში დანერგეს ტვიფრი-ავტომატი, რომელშიც ხსენებული დეტალი ავტომატურად დაიტვიფრება.

წერილის ავტორი ამავე გვერდში დაბეჭდილი ნახაზების მიხედვით აღწერს ავტომატური ტვიფრის მუშაობის პრინციპებს და დაასკვნის, რომ ავტომატიზაციის დანერგვით გათავისუფლდა მუშახელი, ამასთან ტვიფრი ტექნიკურად სავსებით უსაფრთხოა მუშაობის პროცესში.

სამჭედლო საამქროს ტექნიკური კონტროლის ბიუროს უფროსი ლ. თურმანიძე მკითხველს მოუთხრობს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ამავე საამქროს კონსტრუქტორის ზ. კვათალაძის წინადადებით განხორციელდა № 120 — 3003066 დეტალის ნაჭედის კონსტრუქციის შეცვლისათვის. წინათ ნაჭედი დეტალის კონსტრუქცია არ შეესაბამებოდა თელვის ოპერაციის ზუსტად გაანგარიშებულ ზომებს, რასაც თან სდევდა ნაჭედის დიდძალი წუნი.

**„ნაჭედის კონსტრუქციის შეცვლით, — წერს ავტორი, — დაგეგმარებულ იქნა ახალი კონსტრუქციის სატვიფრო და ფხაურების შემომჭრელი ტვიფრები, რამაც კარგი შედეგი მოგვცა. ამ წინადადების დანერგვით ლიკვიდირებულია წუნი როგორც სამჭედლო, ისე შასის საამქროებში. ეს წინადადება საამქროს 8.000 მანეთ საშუალო წლიურ ეკონომიას აძლევს“.**

„ტექნიკურ გვერდში“ დაბეჭდილია აგრეთვე შედუღების დარგის მთავარ ინჟინერ-ტექნოლოგის ა. ჩიბოტარევის წერილი თუჯის დაბალ ტემპერატურული შედუღების შესახებ. გაზეთმა უკვე რამდენიმე ასეთი გვერდი გამოაქვეყნა.

გაზეთი „ლენინელი“ აქტიურად ეხმარება ქუთაისელ ავტომობილმშენებლებს წარმატებით შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებები.

# მეცნიერების სიახლენი

## გამოსათვლელი მანქანები

საბჭოთა მეცნიერებმა და ინჟინრებმა სხვადასხვა ელექტრონული და გამოსათვლელი მანქანები შექმნეს. ამას წინათ ლენინგრადელმა პროფესორმა ს. მოჟაევმა და რიგის საექსპერიმენტო ქარხნის „ეტალონის“ უფროსმა ინჟინერმა ა. მეიერშტერნმა დაამზადეს გამოსათვლელი მანქანა, რომელიც ერთსა და იმავე დროს რამდენიმე ამოცანას წყვეტს და განსაზღვრავს ლითონის ჭრის ყველაზე ხელსაყრელ რეჟიმს.

ახალი გამოსათვლელი მანქანა მარტივია, ზომით დიდი არ არის და შეიძლება დადგმულ იქნას ჩვეულებრივ სამუშაო მაგიდაზე. მისი გამოყენება ლითონსაჭრელი ჩარხებით მოწყობილ ქარხნებში შესაძლებელს გახდის პროდუქციის გამოშვების მნიშვნელოვნად გადიდებას.

## ორიგინალური კონსტრუქციით

გეოლოგებს უხდებათ კლდის ან ფლატეს ფოტოსურათების გადაღება, როცა მათთან მისვლა შეუძლებელია. არსებული ფოტოგრაფიული ობიექტივები (ეგრეთწოდებული ტელეობიექტივები) საკმაოდ მსხვილ გამოსახულებას არ იძლევიან.

გეოლოგები მალე მიიღებენ მათთვის საჭირო ფოტოაპარატს. ლენინგრადის ოპტიკურ-მექანიკურ ქარხანაში მიმდინარეობს აწყობა დ. მაქსუტოვის სისტემის ახალი მენისკური ფოტოობიექტივებისა დაშორებული საგნების გადასაღებად. ისინი იძლევიან საგნების ათჯერად მოახლოებას.

ამავე ქარხანაში ათვისებულია კიდევ რამდენიმე ახალი ოპტიკური ხელსაწყოს გამოშვება. დაიწყო სერიული წარმოება უნივერსალური მინერალოგიური მიკროსკოპებისა.

# სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის

**გენერალ-მაიორი ი. ლარიბაშვილი,**
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი.

სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მშრომელთა კომუნისტური შეგნებულობის ამაღლებას, შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას, მოზარდი თაობის საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდას, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების დაძლევას.

ჩვენ გვყავს ნამდვილად ღირსეული ახალგაზრდობა. ეს ახალგაზრდობა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრებით ჩაბმულია დღემდე არსებულ ყველა საზოგადოებაზე უმშვენიერესი საზოგადოების — კომუნიზმის მშენებლობაში. ჩვენი ჭაბუკები და ქალიშვილები თავდადებულად მუშაობენ ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, ყამირ მიწებზე, საამაყო მაჩვენებლებს აღწევენ მეცნიერების, კულტურის ყველა დარგში.

ახალგაზრდობა. რომელსაც შექმნილი აქვს სწავლის, შრომის, დასვენების ყველა პირობა, დიდი ენთუზიაზმით ეხმაურება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ახალ ღონისძიებებს და თავისი შემოქმედებითი ინიციატივით სძლევს დაბრკოლებებს მათი განხორციელების გზაზე.

ყველა ჩვენგანს ახარებს ახალგაზრდობის პატრიოტული თაოსნობა, მისი სულის სილამაზე, მისი ჰუმანურობა, სინიდისი და პატიოსნება.

სახალხო განათლებისა და ყველა აღმზრდელობითი ორგანიზაციის მუშაკთა ყურადღების ცენტრშია დიდი ლენინის სიტყვები: „საჭიროა, რომ თანამედროვე ახალგაზრდობის განათლებისა და სწავლების მთელ საქმეს წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდა“.

ახალგაზრდობის შრომითმა ენთუზიაზმმა წარმოშვა სოციალისტური შრომის ახალი ფორმა—კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომელთა უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი განასახიერებენ ახალი თაობის კომუნისტურ შეგნებულობას, მის სულიერ სიმდიდრესა და მაღალ იდეურობას.

მაგრამ ახალგაზრდობის, მართალია უმნიშვნელო, მაგრამ მაინც გარკვეული ნაწილი სწავლისა და შრომისადმი კეთილშობილურ დამოკიდებულებას არ იჩენს და მოსაწონი ყოფა-ქცევით არ ხასიათდება. ახალგაზრდობის ეს ნაწილი ცხოვრობს უმიზნოდ, უპრინციპოდ. ცხოვრებას ივსებს მსუბუქი თვითმიზნებით, მჩატე საქციელით და დაუფიქრებელი ნაბიჯებით.

მართალია, ახალგაზრდობას ვერ მოვთხოვთ უფროსი თაობის ნიშანდობლივ დარბაისლობას, მაგრამ აუცილებელია ზომიერების გრძნობა და ცოდნის შეძენის დიდი სურვილი. სწავლასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ ზომიერება, წესიერება, რათა ახალგაზრდობის ქცევა არ გადავიდეს უწესრიგობაში, სხვისი ღირსებისა და პიროვნების შეურაცხყოფაში, სხვისი უფლებების შელახვაში, ისეთ ქცევაში, რასაც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა ეწოდება.

სამწუხაროდ, ჩვენში არც თუ ისე იშვიათია სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებისადმი არაჯანსაღი დამოკიდებულება, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. სწორედ ამაზე მიგვითითებდა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი პარტიის XXI ყრილობაზე, როცა ამბობდა: „ჩვენში ჯერ კიდევ არაიშვიათად გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც არაკეთილსინდისიერად ეკიდებიან შრომას, არღვევენ დისციპლინას და საზოგადოებრივ წესრიგს“.

ეს განსაკუთრებით მაშინ იგრძნობა, როცა შემოქმედებითი შრომის შემდეგ დაღლილი ადამიანები ხალხმრავალ პროსპექტებზე, ბაღებში, კლუბებსა და თეატრებში მიეშურებიან დასასვენებლად. მაგრამ დასვენების ნაცვლად ზოგჯერ ნერვების ამშლელ გარემოებებს აწყდებიან.

საზოგადოების ადგილსამყოფელი სანიმუშო წესების დაცვას მოითხოვს. იქ, სადაც ეს წესები ირღვევა, დასვენებისა და კულტურული გართობის ნაცვლად ადამიანები გრძნობენ უპატივისცემლობას.

ახალგაზრდობის ეს უწესო ქცევა სხვადასხვა ფორმებით გამოვლინდება ხოლმე. არაიშვიათია ფაქტები, როდესაც გლეჯენ და ამტვრევენ მწვანე ნარგავებს, აზიანებენ გაზონებს. ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ თვითეულ ბუჩქზე, ყვავილსა და ხეზე ადამიანთა დიდი შრომაა გაწეული.

განა დასაშვებია, რომ ახალგაზრდები გადადიან ქუჩებსა და მოედნებზე იქ, სადაც მოუხდებათ, შეხტებიან ან ჩამოხტებიან მოძრავი ტრანსპორტიდან, რითაც აშკარად საფრთხეს უქმნიან თავიანთ თავს, ვარდებიან ტრანსპორტის ქვეშ, მახინჯდებიან ანდა იღუპებიან.

არ შეიძლება აუღელვებლად უცქერდე ფაქტებს, როცა ზოგიერთი ახალგაზრდა ავტობუსით, ტროლეიბუსით, ან ტრამვაით მოგზაურობის დროს თავაშვებულად იქცევა, პაპიროსს ეწევა, ავსიტყვაობს, ადგილს არ უთმობს მოხუცებს, ინვალიდებსა და ბავშვიან ქალებს.

უფრო მეტიც. ასეთი ახალგაზრდები ზოგჯერ კულტურულ დაწესებულებებში, კინო-თეატრებში პაპიროსს ეწევიან, ხოლო როცა მათი უფროსები ან სამსახურით დავალებული პირები შენიშნავენ, ისინი მუქარით, უხეში სიტყვებით უმასპინძლდებიან.

ზოგჯერ წესრიგის დამრღვევი ვარაუდობს, რომ იგი არავის ხელს არ უშლის. ვთქვათ, მიდიხარ ჩვენი დედაქალაქის პროსპექტის ან რომელიმე მთავარი ქუჩის ტროტუარზე. მოძრაობის წესებს იცავთ, მაგრამ იძულებული ხდებით შეჩერდეთ, რადგან გზა გადაკეტილია ერთ ადგილზე მდგომი ან ზლაზვნით გადაბმულად მიმავალი ახალგზრდების მიერ. ასეთი ქცევა თითქოს უმნიშვნელოა, მაგრამ აშკარად გამოხატავს საზოგადოებისადმი უპატივისცემლობას. განა საზოგადოების აშკარა უპატივისცემლობა არ არის ის, რომ ზოგიერთი თავაშვებული ახალგაზრდა იფურთხება, უსტვენს, ანაგვიანებს ქუჩებს, არ ერიდება უშვერ სიტყვებს?

ხშირად უფროსებისადმი მოპყრობა აშკარა შეურაცხყოფის სახესაც იღებს. მაგალითად, ამ ორი თვის წინათ ტრამვაით უბილეთოდ მიემგზავრებოდა რამდენიმე ახალგაზრდა. ბილეთების გასინჯვისას ერთ მათგანს მოსთხოვეს ჯარიმის გადახდა, მან სცადა გაქცევა, მაგრამ კონტროლიორმა დააკავა. მისი განთავისუფლების მიზნით კონტროლიორს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა დაკავებულის ამხანაგმა, თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-12 სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ ე. გ. თავბერიძემ, რომელსაც წვრილმანი ხულიგნობისათვის პატიმრობა მიესაჯა.

მეტად აღმაშფოთებელი საქციელი ჩაიდინეს მე-14 და 24-ე საშუალო სკოლების მე-8 კლასელებმა დ. ამჩისლავსკიმ და ა. შოთაშვილმა უსაქმოდ მოხეტიალე ი. ბროდსკისთან ერთად. ისინი შევიდნენ საბავშვო ბაღის შენობაში და დირექტორის ოთახში გვლები გაუშვეს. ხულიგნებს პატიმრობა მიესაჯათ.

ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა როლში არც თუ ისე იშვიათად საკმაოდ მოზრდილი ახალგაზრდები — სტუდენტებიც გამოდიან. სტუდენტობა ჩვენი ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილია. დღევანდელი სტუდენტი ხვალ უნდა ჩადგეს მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის მოწინავე მუშაკთა რიგებში. ბევრი მათგანი თვითონ უნდა გახდეს აღმზრდელი და მასწავლებელი.

ვ. ი. ლენინი გვასწავლის: „კაპიტალიზმი მრავალ ტალანტს ახშობდა. გასაქანს არ აძლევდა, ანადგურებდა მუშათა და მშრომელ გლეხთა წრეში. ეს ტალანტები იღუპებოდნენ გაჭირვების, სიღატაკის, ადამიანის პიროვნების აბუჩად აგდების გამო“.

მაგრამ ზოგიერთი სტუდენტი თვით გამხდარა აბუჩად ამგდები. ეს უმეტესად იმათ ეხებათ, რომელნიც წიგნისა და მეცნიერების მაგიერ ღვინოს ეწაფებიან. სიმთვრალეს იქამდე მიჰყავს ზოგიერთი, რომ თვითონვე ვარდება სამარცხვინო მდგომარეობაში. მაგალითად, ამას წინათ ღამის 2 საათზე, თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე მთვრალებმა — რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის მე-3 კურსის სტუდენტმა, კომკავშირელმა ვ. ა. ივასენკომ, რ. ვ. ბაბალოვმა და თელასის სამმართველოს დისპეჩერმა კ. მ. პოლოსოვმა ქუჩაში მდგარი ნაგვის ურნები დონ-კიხოტის წისქვილებად წარმოიდგინეს, წააქციეს და ფეხისკვრით დაუწყეს გორება. ღამის დარაჯს ანდრიასოვს სურდა შეეჩერებინა ისინი. ბაბალოვმა და ივასენკომ დარაჯის თხოვნა არ შეისმინეს და შეურაცხყოფაც მიაყენეს, რის გამო, როგორც წვრილმანმა ხულიგნებმა, პატიმრობა დაიმსახურეს.

მიმდინარე წლის 20 ივნისს, ღამით, რუსთაველის მოედანზე ჩვენ მიერ შენიშნულ იქნა მოქალაქე ნიაზი დიასამიძე მთვრალ მდგომარეობაში. გარეგნულად ის შემზარავად გამოიყურებოდა, — გულგადაღეღილი, გათხუპნული ტანსაცმელით და მოქალაქეთა მყუდროებას არღვევდა. მას ახალგაზრდები ხვდებოდნენ, მაგრამ მისი საქციელით აღშფოთებულნი სწრაფადვე სცილდებოდნენ.

დავინტერესდით ნ. დიასამიძის პიროვნებით და დავრწმუნდით, რომ არც ისე შორეულ წარსულში სიცოცხლით სავსე ნიჭიერი ახალგაზრდა შრომას და ოჯახს გაექცა, დაადგა უქნარობისა და ლოთობის გზას.

ნ. დიასამიძეს მშობლები და კარგი ამხანაგები ჰყავს; ზემოქმედების რაიმე სერიოზული ზომები კი მის მიმართ არავის მიუღია.

ახალგაზრდობის ერთი ნაწილი არც რაიმე საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაშია ჩაბმული და არც სწავლობს. ეს მდგომარეობა მეტად საგულისხმოა, რადგან შრომა კეთილშობილური გრძნობებისა და კარგი ხასიათის წყაროა, უსაქმურობა კი ძალაუნებურად იწვევს უაზრო ხეტიალს, რასაც შედეგად მოჰყვება ხოლმე არა მარტო საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, არამედ სისხლის სამართლის დანაშაულიც.

ხულიგნობა ერთ-ერთი ყველაზე საშიში დანაშაულია. ხულიგანი დღეს დებოშიორია, ხვალ კი შეიძლება გადაიქცეს ქურდად და მკვლელად, ამიტომ მოითხოვდა ვ. ი. ლენინი ხულიგნების წინააღმდეგ ულმობელ ბრძოლას: „დიქტატურა არის რკინის ხელისუფლება რევოლუციურად გაბედული და სწრაფი, დაუნდობელი როგორც ექსპლოატატორების. ისე ხულიგნების დათრგუნვაში“.

ვხვდებით, ისეთ ფაქტებსაც, როცა ახალგაზრდობა ხელგაშლილად ქეიფობს რესტორნებში. ისინი ანგარიშს არ უწევენ ამ საქციელის მოსალოდნელ უარყოფით შედეგებს. დასაწყისში მაღალფარდოვანი სიტყვებით შესვამენ ხოლმე სადღეგრძელოებს, სამშობლოს, ხალხის, ჩვენი მოღვაწეობისა და სახელის შესახებ. შემდეგ კი გადადიან გადაჭარბებულ სიმთვრალეში, ივიწყებენ თავიანთ ადგილსა და მდგომარეობას, ტეხენ დებოშს. შეურაცხყოფენ ერთმანეთსაც და სხვებსაც. მაგალითად, თბილისის „ინტურისტის“ საზაფხულო ბაღის რესტორანში მ. ი. ჯავახიშვილმა, პ. რ. ჯინჯიხაშვილმა, მ. რ. კოკიელოვმა და სხვებმა ქეიფის დროს დებოში ატეხეს, გადააბრუნეს მაგიდა, დაამტვრიეს ჭურჭელი და რაკი იქ მომსახურე პერსონალის შეურაცხყოფაზეც გადავიდნენ, მილიციის ჩარევა გახდა საჭირო. მაგრამ თავგასული ხულიგნები მილიციის მუშაკებსაც წინაღუდგნენ. ყოველივე ამის შედეგად ისინი დაპატიმრებულ იქნენ.

საყურადღებო და სამწუხაროა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მკვლელობის და დანით დაჭრის შემთხვევებს. ამ განსაკუთრებით საშიში დანაშაულობის უმეტესი ნაწილი ახალგაზრდობაზე მოდის. ამასთან საგულისხმოა, რომ ამ დანაშაულობათა ჩადენა უმეტესად სი-

# ინიციატორებთან

## წითელწყაროელი მექანიზატორები პირობას ვაჟკაცურად ასრულებენ

შირაქის მადლიან ველს თაკარა მზე დაჰქათქათებს. მიწას ალმური ასდის. ვრცელ მინდვრებზე გადაშლილ ხორბლის ყანებს ოქროსფერი დასდებია. ყოველი მხრიდან მოისმის მინდვრის ხომალდების გუგუნი, კოლმეურნეთა ომახიანი შეძახილები.

ავტომანქანამ „ქოჩებს" ჩრდილოეთის მხრიდან ჩაუარა და გეზი შირაქის სიღრმისაკენ აიღო. გზას დასასრული არ უჩანს. მძღოლმა შუბლზე ოფლი მოიწმინდა, ხელი მარცხნივ გაიშვირა და გვითხრა:

— აი, ხომ ხედავთ მზესუმზირას ნათესებს? მათ ირგვლივ რომ ხორბლის ყანები მოჩანს, დაბა წითელწყაროს ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას ეკუთვნის. იქ მუშაობენ შეჯიბრების ინიციატორი გ. დოლიძე და მისი თანამოსაქმენი. მათ იკისრეს მოსავლის აღება ათ დღეში დაამთავრონ და მოწოდებით მიმართეს ჩვენი რესპუბლიკის მექანიზატორებს. მათ სიტყვის გატეხა არ იციან, თქვეს და შეასრულებენ კიდევაც.

მინდვრის ცენტრში ვეებერთელა კალოები გაუმართავთ. მათ ახლოს საცხოვრებელი შენობებია აღმართული. ვეება სასწორზე ავტომანქანები შედიან, პური იწონება. კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. ჯანიკაშვილი საათს დასცქერის, აზუსტებს, ცალკეული აგრეგატები რამდენ ხანს უნდებიან ბუნკერის ავსებას. ეს ავტომანქანების კალოზე მოსვლით ირკვევა.

ველზე გავედით. მექანიზატორთა ბეჯით შრომას ახლოს გავეცანით. „სტალინეც-6" მარკის კომბაინს, რომელზეც კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის გარდამავალი წითელი დროშა ფრიალებს, ს. მუსელიანი მართავს. მუშაობის პირველი შედეგები უბის წიგნაკში ჩაუწერია. 3,5 დღეში 71 ჰექტარის მომკა და 1.980 ცენტნერის გალეწვა მცირე როდია. მუსელიანი დარწმუნებულია, რომ ნაკისრ ვალდებულებას დიდი გადამეტებით შეასრულებს.

— ხვალიდან, — თქვა ცნობილმა მექანიზატორმა გ. დოლიძემ, — გარდამავალი წითელი დროშა გონაშვილის აგრეგატზე იფრიალებს. დღეს ორმაგად შესრულდა მკის დავალება. ბუნკერიდან ოთხას ცენტნერზე მეტი ოქროსავით ხორბალი გადმოტვირთა. ი. გონაშვილი ნაკისრ ვალდებულებას ორი დღით ადრე განაღდებს.

თვითმავალი კომბაინი ორი წლის წინათ მიიღეს. მისი მართვა ყველას ეპარებოდა: „ხშირად ფერხდება, მკა უჭირსო". ბესიკ ბოსტოღანაშვილმა კოლმეურნეობის გამგეობას მიმართა, რომ მისთვის ჩაებარებინათ თვითმავალი კომბაინი. თხოვნა შეუსრულეს. ბესიკი კი თავის მხრივ პირობას ამართლებს. სამნახევარ დღეში სამოცი ჰექტარი ყანა მომკა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული ოცდაათი ჰექტარისა. კოლმეურნეობის დოვლათს 1.400 ცენტნერი ხორბალი შემატა. ბესიკს იმისთვისაც აქებენ, რომ საწვავს ცოტას ხარჯავს, თითოეული ჰექტარის მომკის ხარჯები სამი მანეთით უნდა შეემცირებინა, ფაქტიურად ხუთ მანეთსაც არ სჭირდება.

რომელ ერთზე ვთქვათ? ცხრა აგრეგატი მუშაობს, და ყველა მათგანი დღეში 20-22 ჰექტარს მკის. გ. დოლიძე დღეში ერთხელ კი არა, ათჯერ ამოწმებს თვითეულ კომბაინს, მაგრამ წუნს ვერაფერში სდებს. ა. ბენაშვილის, ვ. ქადაგიძის, ნ. ტარასოვის, ლ. არზუმანიანის, ვ. ნასიბოვისა და ბაზარაულის კომბაინის აგრეგატებმა ორ დღეში 150 ჰექტარი მომკეს, გეგმა კი 72 ჰექტარს ითვალისწინებდა.

ავტომანქანების მძღოლებსაც ერთი წუთით არა აქვთ მოსვენება. კალოდან მიმავალთ გზაშივე ესმით კომბაინების სიგნალი, „ბუნკერი ივსებაო". თუ დააგვიანეს, აგრეგატი შეფერხდება. ილია პაპაშვილს ბადალი არა ჰყავს. დღე არ გავა, რომ კალოზე 400-500 ცენტნერი ხორბალი არ მიიტანოს. როცა კომბაინი ტექნიკურ მოვლაშია, პაპაშვილი დროს როდი კარგავს, კალოდან ხორბალი საწყობში მიაქვს.

საქებნი არიან მძღოლები ი. იაკობიშვილი, ხ. ქადაგიძე, ფ. ბოსტაშვილი, ა. ლაპიაშვილი და სხვები.

შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება ყოველდღიურად მოწმდება. გამარჯვებულთ ძვირფასი საჩუქრებით აჯილდოვებენ.

ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა მინდვრად არიან გასული. კალოზე დღედაღამ არ წყდება მუშაობა. თებრო ქადაგიძე, მაშო სიყმაშვილი, ქეთევან და ნუცა ალულიშვილები, როგორც იტყვიან, მუხლჩაუკრეფავად მუშაობენ. ყოველდღიურად ასობით ტონა პურს ანიავებენ, წმენდენ...

ერთმა რამემ გაგვაკვირვა: კალოებსა და საწყობებში ვერცერთი ტომარა ვერა ვნახეთ. საქმე შემდეგშია. ავტომანქანებზე ხორბლის დატვირთვას მარცვალმტყორცნებით ახდენენ, საწყობში კი მისი გადმოტვირთვა სრულიად ადვილია. ამ გზით ორჯონიკიძელებმა, ჯერ ერთი, შრომა გაიადვილეს, მეორე, რაც მთავარია, მუშახელის ეკონომია გასწიეს, სახსრები დაზოგეს.

ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს უხვი მოსავალი წინათაც მიუღიათ, მაგრამ წლევანდელმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. პატარა შირაქში 314 ჰექტარი ყანა მომკეს. საშუალოდ ჰექტარზე 26,4 ცენტნერი ხორბალი მიიღეს. გეგმით კი თვრამეტ ცენტნერზე მეტი არ იყო გათვალისწინებული. ნაკლებს არც დიდი შირაქიდან იღებენ. შვიდწლედის დოვლათი ყველგან უხვია.

„მოპარსულ" მინდვრებს გ. ზურიკაშვილი და ს. მუსელიანი ასუფთავებენ. „ბელარუსის" მარკის ტრაქტორებით ნამჯას აგროვებენ და გამოაქვთ. კოლმეურნე ი. მარტყოფლიშვილი მზვინავებს მეთაურობს. რკინის ხარები ნიადაგს აშავებენ, მთესველები ხიმინდს თესავენ.

— ჩვენი კოლმეურნეობის მექანიზატორთა ვალდებულებანი რომ გამოქვეყნდა, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. ჯანიკაშვილმა, — ზოგმა განუხორციელებლად მიიჩნია: „ათ დღეში მოსავლის აღება ზღაპარიაო". მობრძანდნენ და ნახონ, ვასრულებთ თუ არა! ჯერ ოთხი დღეა ვმუშაობთ, და უკვე მოსამკელი გავანახევრეთ. ვალდებულებას ვადაზე ადრე გავანაღდებთ.

ორჯონიკიძელთა სიტყვა საქმეს არ სცილდება.

**ს. ქოჩლაძე.**

„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

წითელწყარო, 6 ივლისი.



დადგა მოსავლის აღების ცხარე დღეები. შეჯიბრების ინიციატორები უფროს მექანიზატორ გ. დოლიძის მეთაურობით პირველი ჩაებნენ მოსავლის ათ დღეში აღებისათვის ბრძოლაში. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში კომბაინის 9 აგრეგატი მუშაობს. გ. დოლიძე ყველას უწევს საქმიან დახმარებას, კომბაინები კარგი საათის მექანიზმივით მუშაობენ. სურათზე თქვენ ხედავთ შეჯიბრების ინიციატორთა ხელმძღვანელს გ. დოლიძეს, რომელიც დადებულ პირობას პირნათლად ასრულებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# მშვიდობისა და მეგობრობის მისია

## ფ. რ. კოზლოვი ამერიკის შეერთებულ შტატებში

**სან-ფრანცისკო,** 5 ივლისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. რ. კოზლოვი და სხვა საბჭოთა სტუმრები იყვნენ სადილზე, რომელიც მათთვის გამართეს „წყნარი ოკეანის კავშირის კლუბში". სადილზე იყვნენ კალიფორნიის შტატის საქმიანი წრეების წარმომადგენელნი.

გუშინ დილით ფ. რ. კოზლოვმა, მ. ა. მენშიკოვმა, ი. ს. ნასრიდინოვამ, ა. ა. სოლდატოვმა და სხვა საბჭოთა სტუმრებმა გაისეირნეს იახტით სან-ფრანცისკოს ყურეში ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგურის მისადგომთა გაყოლებით. შემდეგ ნავსადგურის სამმართველოს პრეზიდენტმა ს. მეგნინმა საბჭოთა სტუმრები მიიწვია თავის ქალაქგარეთა რეზიდენციაში, სადაც დიდი დარბაზობა გაიმართა. დარბაზობაზე იყო კალიფორნიის ასზე მეტი თვალსაჩინო მრეწველი და ფინანსისტი.

**სან-ფრანცისკო,** 5 ივლისი. (საკდესის კორ.). დღეს დილიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. რ. კოზლოვი და სხვა საბჭოთა სტუმრები ავტომანქანებით გაემგზავრნენ სონომის ოლქში, რომელიც სან-ფრანცისკოს ჩრდილოეთით მდებარეობს. ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთ სანაპიროს ეს ადგილები განთქმულია წითელი ხის ტყეებით, რომელიც მხოლოდ აქ ხარობს. აქვეა ვენახები და დიდი ღვინის ქარხნები, რომლებშიც ამზადებენ ამერიკაში ცნობილ კალიფორნიულ ღვინოებს. ოლქის ტერიტორიაზე არის ლამაზი რუსული მდინარე, რომლის ახლოს მდებარეობს პატარა ქალაქი სევასტოპოლი. ოდესღაც XVIII საუკუნეში ამ რაიონში ცხოვრობდნენ ჩრდილოეთიდან აქ ჩამოსული რუსი მებადურები. მებადურები შემდეგ წავიდნენ, მაგრამ მათი ხსოვნა დარჩა ქალაქებისა და მდინარეების სახელწოდებაში, რომლებიც თითქოს სიმბოლურად აღნიშნავენ რუსი და ამერიკელი ხალხების საუკუნეობრივ ურთიერთობას.

მანქანებმა გაიარეს სევასტოპოლი და შევიდნენ რანჩო „კორბელის" ტერიტორიაზე, სადაც არის ძმების ადოლფ და პოლ ჰეკ-ბენების ღვინის ქარხანა. „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — ამბობს ბენი, რომელიც ფ. რ. კოზლოვს მიმართავს, — ბედნიერი ვართ მოგესალმოთ ჩვენს მეურნეობაში". ბენი საბჭოთა სტუმრებს აცნობს ქარხანას, დაწვრილებით განმარტავს „კორბელის" მარკის შამპანური ღვინის მომზადების პროცესს.

რანჩოდან წასვლისას ფ. რ. კოზლოვი გულთბილად ეთხოვება მასპინძლებს და მადლობას უხდის ყურადღებისათვის.

შემდეგ ფ. რ. კოზლოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ინახულეს „ბოჰემიის კლუბი", რომელიც აერთიანებს ათასამდე კალიფორნიელ მრეწველს, ფინანსისტს, ინტელიგენციის წარმომადგენელს. კლუბის საპატიო წევრები არიან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ეიზენჰაუერი, ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი, ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი მოსამართლე უორენი და მთელი რიგი სხვა თვალსაჩინო პირები. აქ თავისუფალ და მეგობრულ ვითარებაში გაიმართა საუზმე, რომელიც კლუბის პრეზიდენტმა კლარკ ბეილინმა საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად მოაწყო. კლუბის წევრებმა მოაწყეს აგრეთვე იმპროვიზებული კონცერტი და სტუმრებს უმღერეს რამდენიმე რუსული სიმღერა. ცნობილმა მომღერალმა ნ. ტომასმა შეასრულა თავადი იგორის არია ოპერიდან „თავადი იგორი". კლუბის წევრებთან გამოთხოვებისას ფ. რ. კოზლოვმა თქვა: „ჩემი თანამგზავრებისა და პირადად ჩემი სახელით მსურს მადლობა გადაგიხადოთ, ბატონებო, გულთბილი მიღებისათვის, რომელიც აქ აღმოგვიჩინეთ. ჩვენი დღევანდელი შეხვედრა ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ჩვენ და თქვენ შეგვიძლია ვიცხოვროთ კარგად, ვიცხოვროთ მშვიდობით და ერთმანეთთან მეგობრობით.

მე სამახსოვროდ მაჩუქეს წითელი ხის თესლი, რომელიც აქ თქვენი კლუბის ახლოს ხარობს. სამშობლოში დაბრუნებისას ჩვენ ამ თესლს დავთესავთ, რომ აღმოცენდნენ ხეები, რომლებიც იქნებიან თქვენთან ჩვენი მეგობრობის სიმბოლო".

საღამოს ფ. რ. კოზლოვი და საბჭოთა დელეგაციის წევრები დაესწრნენ ბალეტს ყინულზე „აის ფოლის".

**ვ. ბოგაჩოვი,**
**ვ. პარამონოვი.**



## წერილი პრემიერ-მინისტრ კარამანლისისადმი

# გლეზოსი ბრალს სდებს

**ათენი,** 5 ივლისი. (საკდესი). ათენის პრესაში გამოქვეყნდა მანოლის გლეზოსის შემდეგი წერილი საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ კარამანლისისადმი:

„ბატონო თავმჯდომარევ, რამდენიმე დღით ადრე სასამართლომდე, რომელიც დანიშნულია 9 ივლისს, საჭიროდ მიმაჩნია მოგმართოთ თქვენ, რასაკვირველია, არა როგორც ბრალდებულმა, არამედ როგორც ოპოზიციის უდიდესი პარტიის ხელმძღვანელობის წევრმა.

ათენის სამხედრო ტრიბუნალის ბრალდებულთა სკამზე იქნება და სასიკვდილო განაჩენის საფრთხე მოელის საბერძნეთის დემოკრატიულ კანონებს, რადგან მათ წინააღმდეგ მიმართულია შეთქმულება, რომლის მსხვერპლიც ვარ პირადად მე.

ბატონო თავმჯდომარევ, თუ თქვენ შეგიძლიათ პირდაპირ შეხედოთ სიმართლეს, დამეთანხმებით, რომ არავის ჩვენს სამშობლოში, მათ შორის პირადად თქვენც, არ სჯერათ მითი „ჯაშუშობის" შესახებ. ადამიანები, რომელთა წინააღმდეგ მიმართულია ბრალდება, არიან აღიარებული პატრიოტები, რომლებმაც შესწირეს და კვლავ სწირავენ თავიანთი სიცოცხლის საუკეთესო წლებსა და თავიანთ ძალებს — მცირესა თუ დიდს — საქმე ეს როდია, — ხალხისა და საბერძნეთის სამსახურს. და თუ მათ მიუძღვით რაიმე დანაშაული, ეს არის მხოლოდ დაუცხრომელი მისწრაფება ჩვენი ქვეყნის მშვიდობისა და აყვავებისადმი, ყველა ხალხის მეგობრობისა და ყველა ბერძენის ერთიანობისადმი. ეს კი ნიშნავს მათს შეურიგებლობას პოლიტიკისადმი, რომელსაც თქვენი მთავრობა ახორციელებს და რომელიც, ნება მიბოძეთ გულახდილად გამოვთქვა ეს, უქმნის ჩვენს ქვეყანას უდიდეს საფრთხეს.

თუ თქვენს მთავრობას სურს გაასამართლოს თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები, მაშინ თქვენ უნდა გააკეთოთ ეს პირდაპირ, მაგრამ იმის ბრალდება, რომ ჩვენ ვართ „ჯაშუშები", რომელიც თქვენმა ხელისუფლებამ წამოაყენა ჩვენს წინააღმდეგ, სახელს უტეხს ამ ხელისუფლებას და არა ჩვენ.

მე ვიმოწმებ ჩვენს წინააღმდეგ ბრალდებას მხოლოდ იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი დიდი ზიზღი თავიანთი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ ცილისწამების ასეთი მეთოდისადმი, რაც სამარცხვინოა მისი ავტორებისათვის. მივმართავ რა იმ მოსაზრებათა მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვიეს ჩვენი დევნა, მინდა გულახდილად გითხრათ: თქვენი მთავრობა სჩადის ტრაგიკულ შეცდომას, მიაჩნია რა, რომ შეიძლება ძალადობისა და საგანგებო ღონისძიებების მეშვეობით ჩახშობილ იქნას საწინააღმდეგო იდეები და უკეთესი მომავლის მხურვალე მოთხოვნა. როგორც ბერძენმა, თქვენ, რასაკვირველია, იცით, ბატონო პრემიერ-მინისტრო, რომ ჩვენს ქვეყანაში, ყოველგვარი მსხვერპლის მიუხედავად, ყოველთვის მოიძებნებიან გაბედული ადამიანები, რომლებიც მზად არიან ამაყად დაიცვან ხალხი და დემოკრატია. და როგორც ჩვენი დღეების პოლიტიკურმა მოღვაწემ, თქვენ არ შეიძლება არ იცოდეთ, რომ გარკვეული იდეების წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება მხოლოდ უკეთესი იდეებით და არასოდეს არ შეიძლება ბრძოლა ტყვიით. იდეების სარბიელზე, და არა სამხედრო ტრიბუნალის დარბაზში ჩვენ გიწვევთ თქვენ, და ჩვენი მსაჯულები იქნებიან ხალხი და ისტორია. რაც შემეხება მე, ვამაყობ და ბედნიერი ვარ იმით, რომ თავი შევსწირე ადამიანის ყველაზე კეთილშობილური იდეალების სამსახურს, იმ იდეალებისა, რომლებიც ათბობდნენ მის გამბედაობას ფაშიზმის წინააღმდეგ ომის შავბნელ წუთებში და აღაფრთოვანებენ მას ახლა მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დიდ ბრძოლაში.

ბატონო თავმჯდომარევ, დევნა ჩვენს წინააღმდეგ და მომავალი სასამართლო, უეჭველია, თავისი მახვილით მიმართულია ერის ერთიანობის წინააღმდეგ.

მაგრამ შინაური პოლიტიკური ამბები, მრავალგზის არჩევნები და ყოველდღიური ბრძოლა ცხადყოფენ, რომ მასების შეგნებაში მომწიფდა ერის ერთიანობის მოთხოვნა, რომელიც გამოხმაურებას პოვებს მემარცხენეთა შეურიგებელი მოწინააღმდეგეების რიგებშიც კი. და მთავრობა ცდება, მიაჩნია რა, რომ სასამართლო განაჩენით, ვის წინააღმდეგაც უნდა იყოს იგი, არარაობად აქცევს ან შეზღუდავს ამ მოთხოვნის უდიდეს რეზონანსს.

ბატონო თავმჯდომარევ, მომავალი სასამართლო დაკავშირებულია პოლიტიკურ ამბებთან ჩვენს ქვეყანაში. იგი მიმართულია იქით, რომ ხალხის ყურადღება ჩამოაშოროს მის მწვავე პრობლემებს — ბაზებს, პურს, უმუშევრობას, რეპრესიებს. იგი მიმართულია აგრეთვე იქით, რომ გააძლიეროს შიშის ატმოსფერო, გააძნელოს ოპოზიციის ბრძოლა და შექმნას საბაბი პროპაგანდისტული კამპანიისათვის სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ. არ ვიცი, თქვენ, ბატონო თავმჯდომარევ, რამდენად გეკისრებათ პასუხისმგებლობა ამ საქმისათვის, რომელიც ემსახურება ცივი ომის პოლიტიკისა და საბერძნეთის დაძაბულობის ინტერესებს. მე შესაძლოა არ ვიცი აგრეთვე, რომ წრეებს, რომლებსაც კონტროლს არ უწევს მთავრობა, სურთ დააყენონ საბერძნეთი მომხდარი ფაქტის წინაშე მდგომარეობის გამწვავების მიზნით. მაგრამ მე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ მთავრობა ვალდებულია თუნდაც უკანასკნელ მომენტში მიიღოს ღონისძიებანი ნორმალური მდგომარეობის აღდგენისათვის.

საშინელი საფრთხე მოელის ჩვენს ქვეყანას, ბატონო თავმჯდომარევ, და თქვენ, რასაკვირველია, ჩემზე უკეთესად იცით ეს. ამ ქარიშხლიდან საბერძნეთი შეიძლება უვნებელი გამოვიდეს, თუ მის ბედს განაგებს ნამდვილად ხალხი დემოკრატიის სრული ფუნქციონირების დროს. სასამართლოსა და მისი მიზნების მიუხედავად, თქვენი ჯგუფის წინააღმდეგ იდეოლოგიური და პოლიტიკური ბრძოლის მიუხედავად, ადამიანები, რომლებიც 9 ივლისს ისხდებიან ბრალდებულთა სკამზე სამხედრო ტრიბუნალში და რომლებიც გამოხატავენ ერის მომავალს, ხელს უწვდიან ყველას. მათ სჯერათ, რომ დადგა დრო, რომ ბერძნებმა ერის ინტერესები დააყენონ უცხოელთა ბრძანებებსა და ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებზე მაღლა და გააერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი ჩვენი ხალხისა და საყოველთაო მშვიდობის საკეთილდღეოდ. რაც შეგვეხება ჩვენ, კვლავ შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას სამშობლოსა და ხალხის წინაშე, რა მსხვერპლადაც უნდა დაგვიჯდეს იგი.

პატივისცემით გლეზოსი".

იბეჭდება შემოკლებით.

## გადავარჩინოთ გლეზოსის სიცოცხლე

**პარიზი,** 6 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე დიმანში" იუწყება, საბერძნეთის პარიზის საელჩოში დადიან დელეგაციები, რომელნიც მოითხოვენ მანოლის გლეზოსის სიცოცხლის გადარჩენას. 4 ივლისს საელჩოში იყვნენ სენისა და უაზის დეპარტამენტის და პარიზის მე-14 ოლქის სახალხო დახმარების საზოგადოების დელეგაციები, წინააღმდეგობის მოძრაობის დახვრეტილ და წამებით დახოცილ მონაწილეთა ოჯახების ასოციაციის დელეგაცია.



# ხაზზეა ნიუ-იორკი

## საუბარი ილიკო სუხიშვილთან...



როცა გუშინ, 7 ივლისს დილის 4 საათზე (თბილისის დროით) მოსკოვ-ლონდონის ხაზით ოკეანისგაღმა ქალაქ ნიუ-იორკს დავუკავშირდით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ დროს ჯერ კიდევ საღამოს 8 საათი იყო. ნიუ-იორკის სატელეფონო სადგურმა ჩართო ნიუ-იორკის ოტელის „კლიპტონის" ლუქს-ნომერი, რომელშიც საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელები — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნინო რამიშვილი და სსრ კავშირის სახალხო არტისტი ილიკო სუხიშვილი ცხოვრობენ.

ტელეფონის ყურმილი აიღო სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ილიკო სუხიშვილმა.

— აი ეს-ეს არის, — ამბობს თბილისიდან გაგონილი ხმით გახარებული ილიკო, — ჩვენი მოცეკვავეები წავიდნენ ბროდვეის კინოთეატრში, სადაც წარმატებით უჩვენებენ პირველ საბჭოთა წრიულ პანორამულ კინოფილმს, რომელშიც სხვათა შორის გადაღებულია „ხევსურული სიუიტა" ჩვენი ანსამბლის შესრულებით. მეც რამდენიმე წუთში ვაპირებდი წასვლას ცნობილ ამერიკელ იმპრესარიო ს. იუროკთან, რომელმაც მიიწვია ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში ჩვენი საგასტროლო ტურნეს მარშრუტის დეტალების დასაზუსტებლად.

— **როგორია თქვენდამი ამერიკული საზოგადოებრიობის, ამერიკული პრესის დამოკიდებულება?** — ვეკითხებით ჩვენ.

— საბჭოთა მსახიობები, კერძოდ ქართველი მოცეკვავეები, ისევე როგორც ნიუ-იორკის „კოლიზეუმის" დარბაზებში მოწყობილი საბჭოთა გამოფენა, ამერიკელთა და ამერიკული პრესის შეუნელებელი ყურადღების ცენტრშია. ჯერ კიდევ ნიუ-იორკის აეროდრომზე ძალიან გულთბილი შეხვედრა მოგვიწყეს. დიდი მოუთმენლობით ელიან ამერიკელები საბჭოთა მსახიობების პირველ კონცერტს, რომელიც ხვალ — 7 ივლისს გაიმართება „მედისონ-სკვერ-გარდენში". ყველა კონცერტის ბილეთები უკვე დიდიხანია გაყიდულია. არ მეგონა, თუ ნიუ-იორკელები ასეთ ცხოველ ინტერესს გამოიჩენდნენ ჩვენი გენერალური რეპეტიციისადმი. „მედისონ-სკვერ-გარდენი", რომელიც 12 ათას მაყურებელს იტევს, ხალხით იყო გაჭედილი. ამავე დროს ჩვენი გენერალური რეპეტიცია ტრანსლირებულ იქნა ნიუ-იორკის ტელევიზიის სტუდიისა და რადიოსადგურ „ამერიკის ხმის" მიერ მთელ ამერიკის შეერთებულ შტატებში. არასოდეს არ დამავიწყდება, რეპეტიციის დამთავრების შემდეგ ქართველ მოცეკვავეებს როგორ შემოგვეხვივნენ ცნობილი ამერიკელი მოცეკვავეები, ბალეტმეისტერები, მუსიკოსები, მომღერლები და მხატვრები. მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების გამოჩენილი ბალეტმეისტერი ბალანჩინი, რომელიც ეროვნებით ქართველია — ბალანჩივაძე, და რომელიც ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის წლებიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს.

ბალანჩინის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. როცა ცნობილი ამერიკელი ბალეტმეისტერები და მოცეკვავეები აღფრთოვანებას გამოხატავდნენ ცეცხლოვანი ტემპერამენტით აღსავსე ქართული ცეკვებისადმი და აღტაცებული გვეუბნებოდნენ: — ჩვენ კარგად ვიცნობთ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ცეკვებს, როგორც ხალხურს, ისე პროფესიულს, მაგრამ ჯერ არასოდეს არ გვინახავს, ვაჟები ფეხის წვერებზე რომ ცეკვავდნენო.



— რაც შეეხება ამერიკულ პრესას, — გულიანად იცინის ტელეფონში ილიკო, — „ნიუ-იორკ ტაიმსი", „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" და ნიუ-იორკის სხვა გავლენიანი გაზეთები აჭრელებულია ქართველ მოცეკვავეთა ფოტოსურათებით. არ ვიცი საიდან იციან ამერიკელმა ჟურნალისტებმა ასე დაწვრილებით ჩვენი ანსამბლის შემოქმედებითი ბიოგრაფია, მაგრამ უეჭველია, რომ მათამდეც მიუღწევია იმ წარმატების ამბავს, რომელიც ჩვენს ანსამბლს საფრანგეთში და იტალიაში ჰქონდა.

— **როგორია თქვენი შემდგომი გეგმები?**

— უკვე გადაწყვეტილია, რომ ქართველი მოცეკვავეები საბჭოთა გამოფენის პერიოდში საბჭოთა მსახიობებთან ერთად გამოვლენ არა მარტო ნიუ-იორკში, არამედ ვაშინგტონში, ჩიკაგოში, სან-ფრანცისკოში, ლოს-ანჟელოსში, დეტროიტში, კლივლენდში და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა დიდ ქალაქებში.

— ჩემთვის, ისევე როგორც ყველა ქართველი მოცეკვავისათვის, პირველი, საპასუხისმგებლო კონცერტის წინ ძალიან სასიამოვნო და გამამხნევებელი იყო თბილისთან დაკავშირება. გაზეთ „კომუნისტის" საშუალებით ჩემს თანამემამულეებს გადავცემ, რომ ჩვენი მსახიობები გაამართლებენ ხალხის დიდ ნდობას და საზღვარგარეთ ღირსეულად ატარებენ ქართული საბჭოთა ხელოვნების მაღალ დროშას. ახლა კი ნახვამდის!

ჩვენი თხუთმეტწუთიანი საუბარი „ოკეანესგაღმელ" ილიკოსთან მთავრდება. საუბრის ბოლოს ჩვენ კიდევ ერთხელ ვუსურვებთ მას და ქართველ მოცეკვავეებს დიდ წარმატებას ქართული კულტურის საკეთილდღეოდ.




პატარა ქალაქია გურჯაანი, მაგრამ კოხტა, სუფთა და კეთილმოწყობილი. განიერია მისი განახლებული ქუჩები, სადაც მრავალი შესანიშნავი შენობა აღუმართავთ გურჯაანელებს ამ ბოლო წლებში. მათ კარგი ინიციატივა გამოიჩინეს — კიდევ უფრო გაალამაზონ მშობლიური ქალაქი და რაიონის სოფლები. სურათზე: გურჯაანის ღვინის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ახალი საცხოვრებელი სახლი.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

# რომ წალკოტს დაამგვანონ

## ეხმაურებიან გურჯაანელებს

**ტყიბული.** (საკ. კორ). ორპირი ერთ-ერთი დიდი და კეთილმოწყობილი სოფელია ტყიბულის რაიონში. მის ტერიტორიას ამშვენებს ჩაის ფაბრიკა, საშუალო სკოლის ორსართულიანი შენობა, კლუბი, საავადმყოფო, მაღაზია, სასადილო, სასოფლო საბჭოს ახალი ორსართულიანი კაპიტალური შენობა. შარშან სოფლის საზღვარზე, გრანიტის წარმოების მახლობლად გააკეთეს შესანიშნავი არქიტექტურულად გაფორმებული წყარო, რომელსაც თვალწარმტაცი სკვერი ამშვენებს. წყაროს მახლობლად დგას და მთის მდინარის გრანიტოვან სანაპიროს გადაჰყურებს ლამაზი სასადილო-პავილიონი. ასამდე ორპირელმა კოლმეურნემ, მუშა-მოსამსახურემ და მასწავლებელმა სახელმწიფოს დახმარებით აიშენა ახალი საცხოვრებელი სახლები.

მაგრამ აქ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რომ სოფლის მშრომელთა კარმიდამო წალკოტივით გამოიყურებოდეს, ყველგან სანიმუშო სისუფთავე და წესრიგი სუფევდეს. ამიტომ ორპირელებმა მხარი დაუჭირეს გურჯაანელთა პატრიოტულ ინიციატივას და გადაწყვიტეს თავიანთი სოფელი გახადონ უფრო კეთილმოწყობილი.

სასოფლო საბჭოს აქტივმა და დეპუტატებმა ამ ცოტა ხნის წინათ დაათვალიერეს სოფლის ცენტრის მთელი ტერიტორია, შეიმუშავეს სოფლის კეთილმოწყობის გეგმა. ამ გეგმის თანახმად წელს სასოფლო გზების ნაპირებზე დამატებით დაირგვება 3.000 სხვადასხვა ჯიშის ხე და ბუჩქი, 7 კილომეტრის სიგრძეზე შეკეთდება სასოფლო გზები, განხორციელდება ღონისძიებანი ეზოებში და გზებზე სანიტარული წესრიგის დასამყარებლად. გაფართოვდება წყალსადენის ქსელი. ამ მიზნით დამატებით ააგებენ წყლის შემკრებ აუზს, სოფლის ცენტრში გააკეთებენ თხუთმეტ ონკანს და შადრევანს. რკინიგზის ორპირის სადგურთან გააშენებენ სკვერს.

ორპირელები უკვე ფრთებს ასხამენ თავიანთ გადაწყვეტილებას. სოფლის მკვიდრმა გივი ბასილაძემ თავის საკარმიდამოს შემოავლო ტრიფოლიატის ცოცხალი ღობე. სამოცმა კოლმეურნემ თავიანთ კარმიდამოებში დარგო 700 ძირი თუთის ხე. სასოფლო მაღაზიის წინ დაიწყეს სკვერის გაშენება. სულ მალე რკინიგზის სადგურისა და ხილის დამამზადებელი პავილიონის ირგვლივ დაიგება ასფალტი.

მთვრალში ხდება. მაგალითად, მიმდინარე წლის საბურთალოზე, გაჩერებასთან „ტაქსს" უცდიდა 35 წლის მოქალაქე ფეიქრიშვილი. უცებ გამოჩნდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ა. ლ. ბერბერაშვილი, წინათ ნასამართლევი. მან „ტაქსის" ურიგოდ დაკავება მოიწადინა და რადგან წინააღმდეგობა გაუწიეს, ჩხუბი აუტეხა ფეიქრიშვილს, რამდენიმეჯერ ჩასცა დანა მას მხრებში. სასიკვდილოდ დაჭრილი ფეიქრიშვილი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

აი კიდევ ერთი ფაქტი: მიმდინარე წლის მარტში რუსთაველის პროსპექტზე ერთ-ერთი ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტმა პ. ა. ღონღაძემ გაიცნო სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლე თ. მ. ბაბალოვი. იმავე დღეს ისინი შელაპარაკდნენ. თ. ბაბალოვმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა პ. ღონღაძეს. ამ უკანასკნელმა საცემლად გაიწია, მაგრამ ამხანაგებმა ამის საშუალება არ მისცეს. რამდენიმე დღის შემდეგ პ. ღონღაძე შეხვდა თ. ბაბალოვს და სცადა ჩხუბი აეტეხა, მაგრამ სხვა პირთა ჩარევით განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. შემდეგ პ. ღონღაძე კვლავ შეხვდა თ. ბაბალოვს ამხანაგების თანხლებით და ამჯერად „ანგარიშის" გასწორება მოითხოვა. ხელჩართულ ჩხუბში თ. ბაბალოვმა დანით დასჭრა ის, პ. ღონღაძემ კი ცეცხლმსროლელი იარაღით მოჰკლა თ. ბაბალოვი. ძიებით დადასტურდა, რომ პ. ღონღაძეს თავის ზოგიერთ ამხანაგთან ერთად სისხლის სამართლის სხვა სახის დანაშაულიც აქვს ჩადენილი.

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში მშრომელები თავგამოდებით იბრძვიან პარტიის მიერ დასახული შვიდწლიანი გეგმის წარმატებით და ვადაზე ადრე შესრულებისათვის, მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ არიან ცალკეული ადამიანები, რომლებიც საზოგადოების მუწუკს წარმოადგენენ. მაგალითად, აღმაშფოთებელი ფაქტი მოხდა წელს გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. ამ მეურნეობის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ უქნარა, გაურკვეველი საქმიანობის ახალგაზრდები ბ. პ. ჩხვირკია, მ. გ. ლაკერბაია და გ. ე. დადახავა, რომლებიც სისტემატურად ეწეოდნენ აზარტულ თამაშს, ლოთობას და თავიანთი უწესო მოქმედებით უარყოფით ზეგავლენას ახდენდნენ ახალგაზრდობაზე. ამავე მეურნეობის მოწინავე, საქმისადმი გულშემატკივარმა მუშამ მ. ჩემინავამ არაერთხელ მოუწოდა ამ ახალგაზრდებს შესდგომოდნენ პატიოსან შრომას, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. პირიქით, საქმე იმით დამთავრდა, რომ ჩემინავა დანით მხეცურად მოკლეს.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობა მოითხოვს მაღალ კულტურას, ჩვენი საზოგადოების ქცევის ახალი ნორმების ზუსტად დაცვას. საბჭოთა ხალხს, რომელიც აღზრდილია კომუნისტური მორალის სულისკვეთებით, არ შეუძლია გულდამშვიდებით უცქეროდეს ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ნიშანდობლივი ქცევის უხეშად დარღვევას, ხულიგნობას და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულს. ის სამართლიანად გამოთქვამს უკმაყოფილებას მილიციის ცალკეული მუშაკების მიმართაც, რომლებიც ზოგჯერ გვერდს უვლიან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს. ეს შეუწყნარებელია და ამას ბოლო უნდა მოვუღოთ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიმდინარე წლის 2 მარტს მიიღეს მეტად მნიშვნელოვანი დადგენილება „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ". ეს დადგენილება ითვალისწინებს მშრომელთა ფართოდ ჩაბმას ხულიგნობასთან და სხვა ანტიმორალურ, ანტისაზოგადოებრივ გამოხდომებთან ბრძოლაში.

სახალხო რაზმები, რომელთა მუშაობასაც უშუალოდ პარტიული ორგანოები ხელმძღვანელობენ და წარმართავენ, ჩამოყალიბებულია ნებაყოფლობით საფუძველზე მუშების, მოსამსახურეების, კოლმეურნეების, სტუდენტების, მოსწავლეებისა და პენსიონერებისაგან საწარმოო-ტერიტორიული პრინციპით. მათ უნდა დაიცვან წესრიგი საზოგადოებრივ ღონისძიებათა დროს, ქუჩებში, სპორტულ მოედნებზე, სტადიონებზე, პარკებში და ხალხის თავმოყრის სხვა ადგილებში. ეს რაზმები მუშაობენ უშუალოდ საქალაქო და სარაიონო შტაბების ხელმძღვანელობით, მათ ევალებათ გადასცენ წესრიგის ცალკეული დამრღვევნი ადმინისტრაციულ ორგანოებს და ამხანაგურ სასამართლოებს. მილიციის ორგანოები მოწოდებული არიან ამ რაზმებსა და შტაბებს ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ. ჩვენს ქუჩებსა და ხალხის თავმოყრის სხვა ადგილებს უკვე მოევლინენ ეს რაზმელები. უდაოა საზოგადოებრიობა ამ საქმეს გულისხმიერად მოეკიდება და ჩვენ შევძლებთ სანიმუშო წესრიგის დამყარებას. ამ საქმეში ყველაზე აქტიურად ჩვენი მოწინავე სახელოვანი ახალგაზრდობა უნდა ჩაებას.

პარტია და მთავრობა მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა ყველაფერს აკეთებს ჩვენი ახალგაზრდობის ნათელი და ბედნიერი მომავლისათვის. ხოლო ის პირები, რომლებიც ამას არ დააფასებენ და განზრახ ბოროტად შეეცდებიან შეუშალონ ხელი ჩვენი საზოგადოებრიობის წინსვლას, მკაცრად იქნებიან დასჯილნი.

ევროპა — მშვიდობა და უშიშროება!

# ყოველი მხრიდან

„რუსებს ნამდვილად სურთ მშვიდობა" — ამბობს ამერიკელი გუბერნატორი სტრატონი

ამერიკელი ომის გამჩაღებლები ცეცხლს ეთამაშებიან

## მშვიდობამ უნდა გაიმარჯვოს

**ვარშავა.** (საკდესი). 4 ივლისს ვარშავაში გაიხსნა ევროპის დაძაბულობის შენელებისა და უშიშროების საკითხთა კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ 22 სახელმწიფოს, ექვსი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

კონფერენცია გახსნა სრულიად პოლონეთის მშვიდობის დამცველთა კომიტეტის თავმჯდომარემ პროფესორმა ს. კულჩინსკიმ.

შემდეგ გამოვიდა სხდომის თავმჯდომარე ფრანგი მწერალი ჟაკ მადოლი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ბრძოლა უმაღლეს დონეზე შეხვედრის მოწყობისათვის.

შემდეგ სიტყვა მიეცა საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელს საკავშირო პროფსაბჭოს მდივანს ლ. ნ. სოლოვიოვს.

ჩვენ შევიკრიბეთ ევროპის კონფერენციაზე, თქვა მან, რომ ერთობლივად განვიხილოთ და გამოვნახოთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზები და საშუალებანი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელმა დოქტორმა ჰერტმა (სოციალ-დემოკრატიული პარტია) აღნიშნა, რომ დასავლეთ გერმანიაში სულ უფრო მეტი ადამიანია შეშფოთებული ახლანდელი მმართველი წრეების პოლიტიკით, რომლის მიზანია გერმანიის გათიშვის გაძლიერება. ყველა სადავო საკითხის გადაჭრა შეუძლიათ თვით გერმანელებს ორივე გერმანული სახელმწიფოს სხვადასხვა თვალსაზრისის თანდათანობით დაახლოების გზით, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს დაძაბულობის შენელებას ევროპაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წევრმა პროფესორმა შტაინიგერმა აღნიშნა დასავლეთ გერმანიის ატომური და რაკეტული იარაღით აღჭურვის საფრთხე.

კონფერენციაზე გამოვიდნენ აგრეთვე ბერტოლდი (იტალია), გ. კულიშევი (ბულგარეთი), ბალაჩიანუ (რუმინეთი), ამონი (ბელგია), მინაერტი (ჰოლანდია) და სხვები.

**ვარშავა,** 6 ივლისი. (**საკდესის კორ.**). ვარშავაში მუშაობას განაგრძობს ევროპაში საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და უშიშროების საკითხთა კონფერენცია.

გუშინ დილის სხდომაზე თავმჯდომარეობდა საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელი საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ლ. ნ. სოლოვიოვი.

სხდომაზე პირველი გამოვიდა მწერალი შ. მუსარაი (ალბანეთი). შეეხო რა

### ევროპის დაძაბულობის შენელებისა და უშიშროების საკითხთა კონფერენციამ დაამთავრა მუშაობა

საბჭოთა მთავრობის წინადადებებს ბალკანეთში ატომური და რაკეტული იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ, შ. მუსარაიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალბანელი ხალხი, რომელიც სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული დაძაბულობის შენელებით ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, სავსებით უჭერს მხარს ამ წინადადებებს.

იტალიის პარლამენტის დეპუტატმა ჩერავოლომ წინადადება წამოაყენა კონფერენციის სახელით საბერძნეთის მთავრობას გაეგზავნოს დეპეშა ბერძენი სახალხო გმირის გლეზოსის დასაცავად.

პოლონელი ხალხი, თქვა პოლონეთის წარმომადგენელმა ს. ქულქევსკიმ, მოითხოვს, რომ რაც შეიძლება მალე იქნეს ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან, რაც სერიოზულ ლახვარს ჩასცემს „ცივი ომის" პოლიტიკას.

საბჭოთა წინადადებანი საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე, თქვა მან, წარმოადგენენ მტკიცე საფუძველს, რომელზეც შეიძლებოდა გადაჭრილიყო გერმანიის საკითხი.

ბელგიის წარმომადგენელმა ბარონმა ა. ალარმა ილაპარაკა, რომ დასავლეთის გარკვეული წრეები ახორციელებენ საშიშ პოლიტიკას, რომელიც იწვევს ახალი ომის გაჩაღებას. ადენაუერი და მისი მომხრეები, აღნიშნა ა. ალარმა, სამარცხვინო როლს ასრულებენ.

იმაზე, რომ საჭიროა აიკრძალოს ატომური იარაღის გამოცდა და ატომური იარაღის გამოყენება, ილაპარაკა ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კრების უცხოეთის კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ბერაკმა.

ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ იზაბელა ბლუმმა (ბელგია) მოითხოვა შეიქმნას ამ კონფერენციის მუდმივი ორგანო, რომელიც კონტაქტს იქონიებს ყველა ორგანიზაციასთან, რომლებიც მოითხოვენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებასა და უშიშროებას ევროპაში.

ნორვეგიის წარმომადგენელმა რ. ვოლმა მოითხოვა გაძლიერდეს ყველა ქვეყნის ხალხთა ბრძოლა უატომო ზონების შექმნისათვის.

ჟურნალისტების როლზე საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში, მშვიდობის იდეების პროპაგანდაში ილაპარაკა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელმა მ. ჰოფმანმა.

საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივანმა ჟ. გიიემ ილაპარაკა იმაზე თუ როგორ იბრძვის ფრანგი ხალხი გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის, აგრეთვე ალჟირში კოლონიური ომის წინააღმდეგ.

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის გენერალურმა მდივანმა გ. გეტინგმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) ილაპარაკა ოდერისა და ნოისეზე საზღვრის შესახებ, რომელიც მშვიდობის ურყევი საზღვარია.

კონფერენციაზე გამოვიდნენ აგრეთვე პროფესორი კლარა-მარია ფასბინდერი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), იამ ფრანკოვსკი (პოლონეთი), პასტორი ფ. ვილმარი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) და სხვები.

სხდომის დასასრულს იტალიის წარმომადგენელმა პ. გრივამ წაიკითხა ტექსტი დეპეშისა მანოლის გლეზოსის დასაცავად, რომელიც კონფერენციის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს და საბერძნეთის მთავრობას გაუგზავნეს.

**ვარშავა,** 6 ივლისი. (საკდესი). ვარშავაში მუშაობა დაამთავრა ევროპის დაძაბულობის შენელებისა და უშიშროების საკითხთა კონფერენციამ. კონფერენციამ მიიღო: მიმართვა ევროპის საზოგადოებრიობისადმი, მიმართვა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ სამი სახელმწიფოს ჟენევის თათბირისადმი, აგრეთვე ორივე გერმანული სახელმწიფოს დელეგაციათა ერთობლივი დეკლარაცია.



**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.** ანხოეის პროვინციაში შენდება ცემენტის ქარხანა, რომელიც წელიწადში გამოუშვებს 300 ათას ტონა ცემენტს. ეს ცემენტის ყველაზე დიდი მექანიზებული ქარხანა იქნება ამ პროვინციაში. **სურათზე:** ქარხნის მშენებლობა.

ფოტო ხე ცინ-ჩენისა. (სინხუას სააგენტო).

## რა გულითადად ეპყრობიან რუსები უცხოელებს

### ამერიკელ გუბერნატორთა განცხადება

**ნიუ-იორკი,** 6 ივლისი. (საკდესი). საბჭოთა ხალხი გულწრფელად ესწრაფვის მშვიდობას. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო მოწმობს, ასეთი რწმენით დაბრუნდნენ გუშინ საბჭოთა კავშირში 11 დღის მოგზაურობიდან უ. სტრატონი და ს. ანდერვუდი — ილინოისისა და დასავლეთ ვირჯინიის შტატების ამერიკელი გუბერნატორები.

„მე, — განაცხადა სტრატონმა, — დარწმუნებული ვარ, რომ როცა რუსი ხალხი მშვიდობაზე ლაპარაკობს, მას ნამდვილად სურს მშვიდობა".

ანდერვუდი დაეთანხმა თავისი კოლეგის აზრს, რომ საბჭოთა კავშირში „ადამიანები ყველგან ლაპარაკობენ მშვიდობისადმი მისწრაფებაზე". მან დასძინა, რომ საბჭოთა ადამიანები განწყობილი არიან მეგობრულად.

ანდერვუდმა თქვა, რომ მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა იმან, თუ რა მღელვარებით ლაპარაკობს მშვიდობაზე საბჭოთა ახალგაზრდობა.

სტრატონმა, რომელმაც ანდერვუდთან და შვიდ სხვა ამერიკელ გუბერნატორთან ერთად მოიარა მოსკოვი, ლენინგრადი და კიევი, განაცხადა, რომ ყველაზე მეტად იგი იმან განაცვიფრა, თუ რა „გულითადად ეპყრობიან რუსები უცხოელებს".

## პრეზიდენტ სუკარნოს დეკრეტი

**ჯაკარტა,** 6 ივლისი. (საკდესი). გუშინ ინდონეზიის პრეზიდენტმა სუკარნომ დეკრეტით გამოაცხადა დამფუძნებელი კრების დათხოვნა და 1945 წლის კონსტიტუციის ძალაში შესვლა. დეკრეტში აღნიშნულია, რომ დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდა ის, რომ დამფუძნებელმა კრებამ უარი თქვა პრეზიდენტისა და მთავრობის რეკომენდაციაზე აღედგინა 1945 წლის კონსტიტუცია. დეკრეტში შემდეგ ნათქვამია, რომ დამფუძნებელ კრებას არ ძალუძს შეასრულოს ამოცანები, რომლებიც მას დააკისრა ხალხმა, რაც ქმნის სიტუაციას, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს და ხალხის ერთიანობასა და უშიშროებას. პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში შეიქმნება დროებითი სახალხო საკონსულტაციო კონგრესი და დროებითი უმაღლესი სათათბირო საბჭო.

პრეზიდენტ სუკარნოს მიერ დეკრეტის გამოქვეყნების ცერემონიას მერდეკას სასახლეში დაესწრნენ მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ჯუანდას მეთაურობით, ინდონეზიის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელები, თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები.

სხვადასხვა მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა, რომლებიც მერდეკას სასახლის წინ შეიკრიბნენ, განაცხადეს, რომ სავსებით უჭერენ მხარს პრეზიდენტის დეკრეტს.

## ინდონეზიის მთავრობა გადადგა

**ჯაკარტა,** 6 ივლისი. (საკდესი). დღეს ჯუანდას მთავრობამ იმ დეკრეტის საფუძველზე, რომელიც გუშინ გამოაქვეყნა პრეზიდენტმა და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა სუკარნომ, შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ.

პრეზიდენტი სუკარნო დათანხმდა მთავრობის გადადგომაზე და მადლობა გადაუხადა პრემიერ-მინისტრსა და მინისტრებს მათ მიერ შესრულებული მუშაობისათვის. მან სთხოვა ჯუანდას მთავრობას განაგრძოს საქმიანობა, სანამ შეიქმნებოდეს ახალი მთავრობა, რომელსაც 1945 წლის კონსტიტუციის დებულების თანახმად სათავეში ჩაუდგება თვითონ პრეზიდენტი.

## „ტუ-114" ანცვიფრებს ამერიკელებს

**ნიუ-იორკი,** 6 ივლისი. (საკდესი). მეხუთე დღეა ნიუ-იორკის საერთაშორისო აეროპორტში ექსპონირებულია საბჭოთა ტურბოხრახნული თვითმფრინავი „ტუ-114", რომელმაც მოახდინა ისტორიაში პირველი ჩქაროსნული ძირდაუშვებელი გადაფრენა მოსკოვ-ნიუ-იორკის მარშრუტით. 1 ივლისიდან საბჭოთა ტურბოხრახნული გიგანტი თითქოს გახდა ნაწილი გამოფენისა „კოლიზეუმში".

დილის 10 საათიდან საღამოს 4 საათამდე „ტუ-114" თვითმფრინავთან ყოველ დღე შეიძლება ვნახოთ გრძელი რიგი. ნიუ-იორკიდან და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ქალაქებიდან განუწყვეტელ ნაკადად მოდიან სულ ახალი და ახალი მნახველები, რომლებსაც სურთ შეხედონ საბჭოთა თვითმფრინავ-გიგანტს. ხუთ დღეში თვითმფრინავი დაათვალიერა დაახლოებით 30 ათასმა კაცმა.

ყველას ანცვიფრებს საბჭოთა ლაინერის ვეებერთელა ზომა. მაგრამ მნახველს მარტო „ტუ-114" თვითმფრინავის დიდი ზომა როდი განაცვიფრებს.

როცა ეკიპაჟის წევრები განმარტებას იძლევიან და აცნობენ თვითმფრინავის ტექნიკურ მონაცემებს, ბევრი გაკვირვებულია: სად გაგონილა, რომ ისტორიაში უპრეცედენტო ძირდაუშვებელი გადაფრენის შემდეგ თვითმფრინავის ავზებში დარჩენილიყოს კიდევ რამდენიმე საათს ფრენისათვის საჭირო სათბობი.

თვითმფრინავი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამერიკისა და სხვა საავიაციო კომპანიათა მფრინავებში, რომლებიც აქ მთელი ეკიპაჟობით ჩამოდიან. ისინი პირველ რიგში ითხოვენ უჩვენონ მათ პილოტების კაბინა და მართვის ხელსაწყოები. კაბინაში რომ შედიან, აღტაცებული არიან მისი ზომით და მოხერხებულობით, თვითმფრინავის მართვის ხელსაწყოების სრულყოფილობით. საბჭოთა თვითმფრინავის მეთაურის იაკიმოვის თითქმის ყოველი პასუხი მათს მრავალ კითხვაზე გაკვირვებას და მოწონების შეძახილებს იწვევს. „ჩვენს ტურბოხრახნულ თვითმფრინავებზე, — განაცხადა ამერიკის ავიაკომპანიის „ისტერნ ეირლაინსის" ერთ-ერთმა მფრინავმა, — კაბინები თითქმის სამჯერ უფრო პატარაა, და მოტორებიც რამდენჯერმე უფრო სუსტია, რაც მათ საშუალებას არ აძლევს იფრინონ ისეთ სიმაღლეებზე, როგორზეც თქვენ ფრინავთ".




ამერიკის პრესა ავრცელებს ფანტასტიკურ ჭორებს, თითქოს ამერიკის შეერთებულ შტატებს ატომური თავდასხმა ემუქრებოდეს. ამ პოლიტიკური სპეკულაციის საშუალებით ძარცვავენ ამერიკელ გადასახადის გადამხდელებს. გადასახადების უდიდესი ნაწილი ხმარდება გამალებულ შეიარაღებას, რითაც ხელს ითბობენ ამერიკელი მონოპოლისტები. (**გაზეთებიდან**).

„მოსავლის აღება" შეერთებულ შტატებში — ნახ. გ. ლომიძისა.

## ორი ხალხის მეგობრობა

### სსრ კავშირსა და ალბანეთს შორის ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისათვის

სსრ კავშირისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებს შორის წინათ მიღწეული შეთანხმების შესაბამისად ქალაქ ტირანაში მოეწყო მოლაპარაკება და 1959 წლის 3 ივლისს ხელი მოაწერეს შეთანხმებებს ტირანაში კულტურის სასახლის მშენებლობის შესახებ, რაც იქნება საბჭოთა კავშირის ხალხთა საჩუქარი ალბანელი ხალხისადმი, და ალბანეთისათვის რადიოცენტრის მშენებლობაში უსასყიდლო დახმარების გაწევის შესახებ.

ამავე დროს ხელი მოაწერეს შეთანხმებებს ალბანეთში ქიმიური, სამშენებლო, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოების, თბოელექტროსადგურებისა და ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობაში, სატრანსპორტო ნაგებობათა გაფართოებასა და რეკონსტრუქციაში, ნავთობისა და გაზის მილსადენებისა და სხვა სამრეწველო ობიექტების მშენებლობაში, აგრეთვე საშენ მასალათა მრეწველობისათვის მინერალური ნედლეულის გამოსავლინებლად გეოლოგიურ საძიებო სამუშაოთა განხორციელებაში ტექნიკური დახმარების გაწევის შესახებ.

სამრეწველო საწარმოებისა და მთელი რიგი სხვა ობიექტების მშენებლობისათვის ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას ეძლევა გრძელვადიანი კრედიტი 300 მილიონ მანეთამდე შეღავათიან პირობებში. ტექნიკური დახმარება სამრეწველო და სხვა ობიექტების მშენებლობაში, რომლებიც გათვალისწინებულია ხსენებული შეთანხმებებით, განხორციელდება საბჭოთა ორგანიზაციების მიერ საპროექტო-საძიებო სამუშაოების შესრულებით, მოწყობილობის მიწოდებით, დახმარების გაწევით მოწყობილობის მშენებლობაში (კონსულტაცია და ავტორის მიერ მეთვალყურეობა), მონტაჟში, გაწყობასა და საექსპლოატაციოდ გადაცემაში, აგრეთვე დახმარების გაწევით ეროვნული კადრების მომზადებაში იმ საწარმოებში სამუშაოდ, რომლებიც აშენდება საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობით.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა ძმური თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით. ხელმოწერილი შეთანხმებანი ხელს შეუწყობენ საბჭოთა კავშირსა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებასა და გაღრმავებას.

შეთანხმებებს ხელი მოაწერეს:

საბჭოთა კავშირის მხრივ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. არხიპოვმა;

ალბანეთის მხრივ: ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა პ. შუტიმ.

## დემოკრატიის ძალების გამარჯვება

აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტმა 4 ივლისს აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის იაპონიის კომიტეტს ტოკიოში გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ძვირფასო მეგობრებო! სულითა და გულით გილოცავთ იაპონიის დემოკრატიული ძალების დიდ გამარჯვებას — „მაცუკავას საქმის გამო" ყველა ბრალდებულის განთავისუფლებას. იაპონელი ხალხის ბრძოლა, რომელსაც მხარი დაუჭირა მთელი მსოფლიოს პროგრესულმა საზოგადოებრიობამ, სერიოზული წარმატებით დაგვირგვინდა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ქვეყნის მშრომელთა ძმური სოლიდარობა ხელს შეუწყობს იაპონელ პატრიოტებს მიაღწიონ იმას, რომ საბოლოოდ შეწყდეს ეს სამარცხვინო სასამართლო ინსცენირება და ყველა ბრალდება მოეხსნას 17 სრულიად უდანაშაულო იაპონელ მუშას.

**აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტი".**

(საკდესი).

# სპორტის ამბები

### სსრ კავშირი — იუგოსლავია

6 ივლისს კიევში მოეწყო სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ნაკრები კოლექტივების ტრადიციული მატჩის გადადებული პარტიების დამთავრება.

საბჭოთა მოჭადრაკე ქალებმა მსოფლიო ჩემპიონმა ბიკოვამ და სსრ კავშირის ჩემპიონმა ვოლპერტმა სძლიეს მოწინააღმდეგეებს და თითო ქულა შემატეს თავიანთ გუნდს. მათ დაამარცხეს ნედელკოვიჩი და ლაზარევიჩი.

ბრონშტეინმა ბრძოლის განუახლებლად დათმო პარტია ფუდერერთან. ჯურაშევიჩი და ავერბახი ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული გელერ-ბერტოკისა და პეტროსიან-მატანოვიჩის პარტიებში.

ამრიგად, 3 ტურის შემდეგ სსრ კავშირის გუნდს აქვს 17,5 ქულა, იუგოსლავიის მოჭადრაკეთა კოლექტივს — 12,5 ქულა.

### შეხვედრა ფრანგ კალათბურთელებთან

რამდენიმე დღეა თბილისში საერთაშორისო ამხანაგური მატჩების გასამართავად სტუმრად იმყოფება საფრანგეთის ქ. ოტონის ქალთა გუნდი „ვაიანტი".

გუშინ თბილისის კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე სტუმრებმა გამართეს პირველი მატჩი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდთან. შეხვედრას წინ უძღოდა სამახსოვრო ვიმპელების გაცვლა. შესრულებულ იქნა საფრანგეთისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

მატჩი დამთავრდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 71:39. დღეს გაიმართება საფრანგეთის კალათბურთელთა მორიგი გამოსვლა.

### კალათბურთი ესტრადაზე

საბჭოთა კავშირს სტუმრად ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების სახელგანთქმული პროფესიული კლუბის „ჰარლემ გლობტროტერსის" კალათბურთელთა გუნდი.

6 ივლისს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში მათ აჩვენეს 6.478-ე გამოსვლა. მოეწყო შეხვედრა ორ ტაიმად „ჰარლემ გლობტროტერსისა" და სან-ფრანცისკოს პროფესიულ გუნდს შორის. ეს იყო შესანიშნავი ტექნიკის დემონსტრაცია და უფრო წარმოადგენდა კალათბურთს ესტრადაზე, რომელსაც რეჟისორის ხელი ატყვია. შესანიშნავი ოსტატობით გამოირჩეოდა უ. ჩემბერლენი, რომლის სიმაღლე 2 მეტრი და 16 სანტიმეტრია.

## ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამხ. არჩილ ალექსანდრეს-ძე **გიგოშვილი** დაინიშნა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამხ. მირონ დიმიტრის-ძე **ჩუბინიძე** გაათავისუფლებულია საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის თანამდებობიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი.**

## შემთხვევები მიწისქვეშეთში

**✱ 40 მეტრ სიღრმეზე ✱ „სრულიად საიდუმლოდ" ✱ ერთ კაცს შეუძლია დაიწყოს ომი**

**ფრანგული** ჟურნალის „პარი-მატჩის" კორესპონდენტებმა რ. კარტიემ და ფ. ბოსემ ნებართვა მიიღეს ენახათ ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ავიაციის სარდლობის მიწისქვეშა შტაბი, სადაც ჩვეულებრივად კორესპონდენტების შესვლა სასტიკად აკრძალულია. 18 ივნისს ჟურნალმა გამოაქვეყნა მათი რეპორტაჟი შტაბში ყოფნის შესახებ. რეპორტაჟის ავტორები გულმოდგინედ უკეთებენ რეკლამას ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ ავიაციასა და მის მთავარ შტაბს. ამასთან ისინი შეგნებულად თუ უვიცობით იმეორებენ ამერიკული პროპაგანდის მონაჭორებს პენტაგონის საომარი მზადების „თავდაცვითი" მიზნების შესახებ. მაგრამ ფაქტები, რომლებიც ავტორებს მოჰყავთ, სხვას ამტკიცებენ: ამერიკის სტრატეგიული ავიაცია, მისი ბაზები და შტაბი შექმნილია აგრესიისა და პროვოკაციებისათვის. მათი საქმიანობა ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების მუდმივ საფრთხეს შეიცავს.

### „ჯურღმულის" საიდუმლოებანი

**შტატი ნებრასკა.** ქალაქი ომახა. სამხედრო-საჰაერო ბაზა ოფატი. ასეთია მისამართი ამერიკის სტრატეგიული ავიაციის მთავარი შტაბისა, რომელიც შეერთებული შტატების გეომეტრიულ ცენტრში მდებარეობს.

მისი შექმნის იდეა ეკუთვნის სტრატეგიული ავიაციის ყოფილ სარდალს გენერალ ლიმეის. ამ „ჯურღმულის" აგებაზე, როგორც შტაბს ამერიკელები უწოდებენ, 10 მილიონი დოლარი დაიხარჯა.

იმ ადგილს, სადაც შტაბი მდებარეობს, გარს არტყია ხორბლისა და სიმინდის ნათესები. გარედან, წერს ჟურნალი, სტრატეგიული ავიაციის მთავარი შტაბი სიძლიერისა და საიდუმლოების შთაბეჭდილებას როდი ახდენს. ეს მინდვრის კიდეზე მდგომი უბრალო ორსართულიანი ნაგებობაა.

შტაბის ყველა ძირითადი ორგანო განლაგებულია 40 მეტრ სიღრმეზე მიწის ქვეშ. საკომანდო პუნქტი რამდენადმე წყალქვეშა ნავს მოგვაგონებს. იქ არის სურსათ-სანოვაგის 30 დღის მარაგი, თავისი ელექტროსადგური, არტეზიული ჭები, ჰაერის კონდიციონირების და რადიაქტიური ნაწილაკებისაგან მისი გაწმენდის სისტემა. საჭიროების შემთხვევაში შესასვლელად და გამოსასვლელად მოწყობილია ამწე. ადამიანები აქ ფეტრისლანჩიანი ფეხსაცმლით დადიან და ცოტას ლაპარაკობენ. ნეონის ნათურები თითქმის არ იძლევა ჩრდილს. კედლები და ჭერი ბგერაგაუმტარია.

ოპერატიული ოთახი წარმოადგენს 50 მეტრი სიგრძის, 12 მეტრი სიგანისა და 8 მეტრი სიმაღლის სწორკუთხა დარბაზს. კედელთან დადგმულია კონვეიერი, მისი ბოლო მეზობელ დარბაზში გადის შეჯავშნული კარით. კონვეიერზე მოძრაობს ცელულოიდის ეკრანით დაფარული შვიდმეტრიანი რუკები, რომლებზეც მსხვილი ფანქრით მონიშნულია ვითარება.

მეტეოროლოგიური სამსახურის პოლკოვნიკი უკარნახებს:

მოსკოვის თავზე დაბალი მოღრუბლულობაა. 2.000 ფუტის სიმაღლეზე სქელი ღრუბლებია. საღამოსათვის მოღრუბლულობა გაიფანტება. 8 საათის შემდეგ მოსალოდნელია კარგი ხილვადობა. ერთი დღეღამის პროგნოზი: მშრალი და მოწმენდილი ამინდი, ცვალებადი ქარი, რომელიც დასავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაზე გადავა.

ომსკის თავზე...

ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ავიაციის ათობით ბაზა ამერიკაში და სხვა კონტინენტებზე, წერს ჟურნალი, ინიშნავს ამ მეტეოროლოგიურ ბიულეტენს, რომლის შედგენასაც ისინი თვითონ უწყობდნენ ხელს. ამ ბაზებშია 250 ათასი კაცი, 4 ათასი ბომბდამშენი და გამწყობი თვითმფრინავი.

### გენერალი პაუერი ტელეფონთან

ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ავიაცია მუდამ მზად არის აგრესიისათვის. „**ჟენევაში, — წერს ჟურნალი, — ლაპარაკობენ, სხვადასხვა თვალსაზრისი ერთმანეთს ეჯახება, დიპლომატები მანევრებს აკეთებენ და თვალთმაქცობენ... უკანა პლანზე კი ეს მდუმარე გიგანტია".**

ამ „გიგანტს" მართავს ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ავიაციის სარდალი გენერალი პაუერი. მას „ცენტრალური სავარძელი" უჭირავს ოპერატიულ ოთახში. „მისი სავარძლის უკან, — წერს ჟურნალი, — კარია, რომელიც გადის მის შემნახველ საკომანდო პუნქტში, ოთახში, სადაც იგი მეტ წილ ღამეებს ატარებს".

და ამ 54 წლის კაცს, ხშირი ღამისთევისაგან ცუდი ნერვების პატრონს, მინიჭებული აქვს უდიდესი ძალაუფლება. „**მას მიცემული აქვს უფლება, — წერს ჟურნალი, — აიღოს ტელეფონის ლია წითელი ფერის ყურმილი და მიზნისაკენ გაგზავნოს მორიგე ქვეგანაყოფები, რომლებშიც შედის სტრატეგიული ავიაციის ბომბდამშენების მესამედი ნაწილი მაინც". სხვანაირად რომ ვთქვათ, მას ფაქტიურად მიცემული აქვს უფლება დაიწყოს ატომური ომი.**

„მე ამას სრულიად უყოყმანოდ ჩავაკეთებ, — უთხრა პაუერმა ფრანგ ჟურნალისტებს, — თუ რადარებმა აჩვენეს, რომ რაკეტები შეერთებული შტატებისაკენ იგზავნება".

### სახიფათო წვრთნა

ბევრი რამ შეიძლება მოიჩვენოს შრომისა და უძილობისაგან დაღლილ გენერალს. აკი მოეჩვენა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ თავდაცვის მინისტრს ფორესტოლს, რომ ნიუ-იორკის ქუჩებში გამოჩნდნენ... საბჭოთა ტანკები.

მაგრამ რა საჭიროა წარსულის გახსენება! ამ პოსტზე პაუერის წინამორბედი გენერალი ლიმეიც მთლად ჯანსაღი როდი იყო. ჟურნალი „პარი-მატჩი" წერს, რომ ლიმეი იყო „**საშინელი უხეში, მყვირალა და შლეგი (!), ადამიანთა შეხურებისა და წვრთნის ოსტატი, ადამიანი, რომლის რისხვისაგან მუდამ ძრწოდა მისი საკომანდო პუნქტი და მთელი ამერიკა**". გენერალი ლიმეი ტრაბახობდა, რუსები ჩემს „B-36" ბომბდამშენებს მხოლოდ მაშინ შეამჩნევენ, როცა თავს ბომბები დაატყდებათო.

ათ წელიწადს იჯდა ეს „შლეგი" მიწის ქვეშეთში, და ყოველდღე მისი ნებით შეიძლებოდა დაწყებულიყო ომი.

ჟურნალი წერს, რომ პაუერს არა აქვს ლიმეისთანა „გულდაჯერებულობა". მაგრამ რა იქნება, რომ მის ფსიქიკაში მოხდეს რაღაც ჩავარდნა თუნდაც იმ რამდენიმე წუთით, რაც საჭიროა ტელეფონით ბრძანების გასაცემად.

ჯანმრთელობამ შეიძლება უღალატოს არა მარტო გენერალს, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ავიაციის ეკიპაჟებსაც. ისინი, წერს ჟურნალი, განუწყვეტლივ წვრთნას გადიან. ერთი გვიოის გაიოიელობაში თვითეული მორიგე თვითმფრინავის ეკიპაჟის ხეიდრები ერთმანეთს ერთი წუთითაც კი ვერ შორდებიან. სიცოცხლე მოწამლული აქვთ „საყვირების შემაძრწუნებელი სიგნალებით, ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატების ავისმაუწყებელი და ღრჭიალა ხმაურით. ეს აპარატები დადგმულია ყველა კუთხეში, სადაც კი შეიძლება წავიდნენ ავიატორები, მათ შორის ყვითელ-შავ ბოძებზეც, რომლებითაც შემოფარგლულია ბაზის ტერიტორია". განგაში! ეკიპაჟი მანქანას მიაშურებს. მანქანა თვითმფრინავისაკენ მიჰქრის, მფრინავები ვიწრო კიბეებით კაბინაში ადიან. ატომური ბომბები თავის ადგილებზეა თვითმფრინავის ნაკვეთურებში. ასეთი იქნებოდა ნამდვილი გაფრენაც.

ეკიპაჟებმა არასოდეს არ იციან, ნამდვილად როგორი გაფრენა უნდა მოახდინონ. სტრატეგიული ავიაციის თვითეულ ბაზაში კვირაში 3-4 საცდელი გაფრენა ხდება. „რამდენჯერ უფიქრიათ ეკიპაჟებს, — წერს ჟურნალი, — რომ ბრძანება ნამდვილი იყო, რომ ისინი გაფრინდნენ ომების მთელ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დრამატული ექსპერიმენტის მოსახდენად. სტრატეგიული ავიაციის პრინციპი ის არის, რომ კუთხეები და ნერვები მუდამ დაძაბული იყოს". და ყველა ყალბი განგაში, მრავალმნიშვნელოვნად დასძენს ჟურნალი, ოოდი მთავრდება ასაფრენ ზოლზე.

**სად არის გარანტია, რომ ამ მომქანცავმა წვრთნამ და პროვოკაციულმა ფრენამ არარსებული მოწინააღმდეგისაკენ არ შეიძლება გამოიწვიოს კატასტროფული შედეგები** მფრინავის ფსიქიკური მოშლილობის გამო ან ყალბი განგაშით მიზნისაკენ გაგზავნილ თვითმფრინავთან კავშირგაბმულობის უწესივრობის მიზეზით?

* * *

ნებრასკის შტატის მიწისქვეშეთის მობინადრეები სახიფათო თამაშს ეწევიან, რომელმაც შეიძლება მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწიროს. ეს თამაში არ შეიძლება გამართლებულ იქნას „თავდაცვის" არავითარი მოტივებით შეერთებული შტატებისათვის, რომლებსაც არავინ არ ემუქრება. არ შეიძლება არ გვაოცებდეს ის, რომ პენტაგონის ხელმძღვანელებმა თავიანთი მიწისქვეშა შტაბის მორიგი რეკლამა მოაწყეს სწორედ საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის დღეებში. როგორც ჩანს იმათ, ვინც იქ, მიწისქვეშ არის, არ მოსწონს ის, რაც მიწაზე ხდება.

(„**კრასნაია ზვეზდა" 5/VII**).

## „საქართველოს კომუნისტი" № 6

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი" № 6.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: **მოწინავე** — ახალი ამოცანების დონეზე ავიყვანოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა; **კვლავ** საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტების მუშაობის შესახებ; **ს. ბერაძე** — კ. მარქსის გენიალური ნაშრომი „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის"; **გ. ერემოვი** — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს როლი და ფუნქციები სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პერიოდში; **დ. ქორიძე** — შრომის ნაყოფიერების ზრდის გზები სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში; **ე. კანდელაკი** — საქართველოს ქვანახშირის მრეწველობა რენტაბელური უნდა გახდეს; **ს. სახაროვი** — მეცნიერული წინასწარხედვა და რელიგიური „წინასწარმეტყველება".

ჟურნალი განაგრძობს **საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის** გამოქვეყნებას. დაბეჭდილია აგრეთვე მასალები პარტიული ცხოვრების, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებებიდან.

## მამები და შვილები

სასამართლოს დარბაზიდან

**პირველად** ყველაფერი ჩვეულებრივად დაიწყო. ქალვაჟს ერთმანეთი მოეწონათ. დაქორწინდნენ. მალე გოგონაც შეეძინათ. პატარას მანანა დაარქვეს. მაგრამ ამ დღიდან რატომღაც დაიწყო თავის მეუღლეზე და შვილზე გულის აცრუება ახალგაზრდა მხატვარმა ელგუჯა დათუკიშვილმა. მალე საქმე იქამდე მივიდა, რომ ცოლ-ქმარი გაიყარა. პატარა მანანა დედასთან დარჩა. სასამართლომ ე. დათუკიშვილს დააკისრა შვილის სასარგებლოდ ყოველთვიურად 200 მანეთის გადახდა, მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ბავშვს, რომელმაც უკვე ისწავლა ორი სიტყვა — „დედა" და „მამა", მშობელი არ დაეხმარებოდა და თავის პატარა გოგონას სარჩოს შეუწყვეტდა.

თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლომ ამას წინათ განიხილა ალიმენტის ურჩი გადამხდელი მამის საქმე და ელგუჯა დათუკიშვილს დააკისრა ერთდროულად 1.000 მანეთის გადახდა პატარა მანანა დათუკიშვილის სასარგებლოდ.

კიდევ უფრო „ისახელა" თავი ა. მერაბოვმა. მან მიატოვა მეუღლე და სამი ბავშვი და ალიმენტის გადახდას რომ თავი აარიდოს, სისტემატურად იცვლის სხვადასხვა ქალაქებში სამუშაო ადგილს და საცხოვრებელ ბინას.

ა. მერაბოვის შვილები ნადია, სტეფანე და ვალოდია დიდი ხანია ეძებენ თავიანთ ურჩ მამას, მაგრამ მის კვალს ჯერჯერობით ვერსად ვერ მიაგნეს.

— შენს იქით გზა არა მაქვს. თუ ცოლად არ წამომყვები, აქვე მოვიკლავ თავს, — ეფიცებოდა სიყვარულს მიხეილ აღდგომელაშვილი ანაიდა რევაზოვას. ამ უკანასკნელმაც დაუჯერა და ცოლად გაჰყვა. ცოლ-ქმარს შორის ტკბილად გატარებულ პირველ თვეებს მალე სიმწარე მოჰყვა. ამის მიზეზი გახდა პატარა ვახტანგი, რომელიც წლის თავზე შეეძინათ. მ. აღდგომელაშვილმა უმიზეზოდ აითვალწუნა ცოლ-შვილი და მალე მიატოვა ისინი.

ა. რევაზოვა პატარა ვახტანგით მარტო დარჩა. პირველ ხანებში ეკონომიურად ძალიან გაუჭირდათ. როცა პატარა ვახტანგი ავად გახდა, დედა-შვილს მეზობლები და ნათესავები პატრონობდნენ. გულქვა მამამ, რომელმაც გაიგო შვილის ავადმყოფობა, არც დახმარება აღმოუჩინა და არც ინახულა შვილი. მ. აღდგომელაშვილი თავს არიდებს თბილისის სტალინის სახელობის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებას ალიმენტის გადახდის შესახებ.

რატომ უნდა მიიყვანონ სასამართლომდე მამებმა თავიანთი შვილების რჩენის საქმე?

**ო. კოლუაშვილი,**
**პროკურორის თანაშემწე,**
**ზ. მესხიშვილი.**

## რადიო

8 ივლისი

პირველი პროგრამით

11.00 — რადიოგადაცემა — „ლაპარაკობს ბათუმი", 11.15 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 12.15 — სიმღერები ე. და ზ. კირვალიძეების შესრულებით, 12.45 — პიესები ალტისათვის ა. ბეგალიშვილის შესრულებით, 17.20 — ი. ბახი. სონატა ორი ფორტეპიანოსათვის. ასრულებენ ტ. გოლდფარბი და გ. მაჭუტაძე, 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ა. კარბელაშვილის ნარკვევი „რასაც თვალით ვერ ვხედავთ", 18.05 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 18.45 — არიები დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა ოპერებიდან ო. კუზნეცოვას შესრულებით, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.45 — გადაცემა მრეწველობის თემაზე — „ქუთაისელი ავტომშენებლები სტუმრად ურალელ ავტომშენებლებთან", 20.20 — კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით, 21.00 — საუბარი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემაზე, 21.25 — ა. ჩიმაკაძის, რ. ლაღიძის, ბ. კვერნაძისა და ს. ნასიძის კამერული ნაწარმოებები, 22.00 — ლიტერატურული გადაცემა თ. გოგოლაძის ნარკვევი „წმინდილი კვალი", 22.25 — პ. ჩაიკოვსკი. ფანტაზია „ფრანჩესკა და რიმინი".

უე 02578

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.